# ჯეიმს ბეიკერი ედუარდ შევარდნაძეს უწოდებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების, დემოკრატიისა და ქართველი ხალხის თავისუფლების ერთგულ ლიდერს

ერიჰა!..

## პარლამენტის თავმჯდომარემ გვიჩვენა, ვინ არის ნინო ბურჯანაძე. ვნახეთ!

ადამიანს შეიძლება შეეშალოს. პარლამენტის თავმჯდომარეც ადამიანია, თანაც ქალია და, რა გასაკვირია, ემოციები ვერ მოთოკოს. მაგრამ, როდესაც წინა დღეს, შუადღისას გადმოღვრილ ემოციებს მეორე დღეს უკვე სატელევიზიო კალაპოტში მოაქცევს და სარქველებსაც მოუშორავად, თუმცა ერთგვარი სიამაყით გახსნის, იქ უკვე დაფიქრება გვმართებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ „რუსთავი-2"-ის ეთერით განაცხადა, რომ გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკასა" და „სვობოდნაია გრუზიაში" მოსკოვის გაზეთ „კომერსანტის" წერილი „ამერიკამ აირჩია საქართველოს პრეზიდენტი", ხელისუფლების დავალებით გადმობეჭდა. მან იქვე დასძინა, რომ არ გამორიცხავს თვით უმაღლესი ხელისუფალის დავალებასაც, რადგან ხელისუფლების მხარდამჭერი ამ გამოცემების ფურცლებზე შემთხვევით არაფერი ქვეყნდება.

ასე განაცხადა და ერთი-ორი სხვაც მოაყოლა.

ჟურნალისტმა არ ჰკითხა, რომელ წერილზე ლაპარაკობთ და თუ ესაუბრეთო ამ სახელისუფლებო გაზეთების რედაქტორებს. ბუნებრივია, თვითონ არ უთქვამს. არადა...

ძალიან არ მინდოდა ამ ამბის გახმაურება. უხერხულია, როგორც უნდა გაცხარდეს, მაინც ქვეყნის მეორე პირია (თვითონ ხშირ-ხშირად იმეორებს და ჩვენც ნუ დავიზარებთ, ვთქვათ, რა დაგვიშავდება) და ხომ უნდა შევუნახოთ თუნდაც ერთი საიდუმლო.

არ მინდოდა, მაგრამ წუხანდელი ბრალდება მაიძულებს ვთქვა, რომ გუშინწინ, 18 ივლისს (ანუ „კომერსანტის" წერილის გადმობეჭდვის დღესვე) პარლამენტის თავმჯდომარე მადალი სიხშირის ტელეფონით ე. წ. „ვეჩეთი" დაუკავშირდა ჯერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს არმაზ სანებლიძეს, შემდეგ გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარ რედაქტორს ტატო ლასხიშვილს და, მეტი რომ არა ვთქვა, ემოციებად დაიღვარა.

მთავარი რედაქტორები გაოცებას ვერ მალავდნენ პარლამენტის თავმჯდომარის არადელიკატური ტონისა და მოჭარბებული ემოციების გამო. ვერ ვიტყვი, რაც მითხრეს, იმის მოსმენისას გაოცების შემზარავი ალმომხდა-მეთქი, მაგრამ...

მერე რა, რომ... მაინც პარლამენტის თავმჯდომარეა.

სახელმწიფოს მეორე პირი, ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე რედაქტორებს მიუკიბმოუკიბავად ეუბნებოდა (ალბათ, უფრო სწორი იქნება ვთქვა, ემუქრებოდა!), — ერთს: „ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, დაგარტყამთ!" მეორეს კი — „მე თქვენ გიჩვენებთ, ვინ არის ნინო ბურჯანაძე!"

ვნახეთ, როგორ დაგვარტყა, წუხელ ვნახეთ, როდესაც ხელისუფლებასა და პრეზიდენტს პირდაპირი ეთერით აბრალებდა წერილების შეკვეთას. უსაბუთოდ, უარგუმენტოდ. და ამას კადრულობდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც „კომერსანტის" წერილის ავტორის თქმით, აქვს „ევროპული საქმიანი ქალის იმიჯი, მომხიბლავი გარეგნობა, დახვეწილი მანერები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი"...

ბევრი რამ თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ ტელეეთერით, ის კი არ უთქვამს, კონკრეტულად რამ გააცხარა.

არც მე ვიტყვი. იმის აღნიშვნა კი უპრიანი იქნება, რომ ეს მისი პირველი შეხმიანებაა ამ გაზეთების მთავარ რედაქტორებთან და, სამწუხაროა, რომ ამ ფორმით მოხდა მათი „საქმიანი" კონტაქტი.

ზონდო მძინარაშვილი.

70 წელი

## ევგენი ევტუშენკო: მაიაკოვსკის იუბილეზე ბაღდათში ჩამოსვლა დიდი პატივია ჩემთვის

**ევგენი ევტუშენკო თავისი დაბადების 70 წელს დღესასწაულობს. იუბილემდე იგი დათანხმდა ეპასუხა ჟურნალისტ ნიკოლოზ ალექსანდროვის რამდენიმე კითხვაზე.**



— როგორც კი პოლიტექნიკურ მუზეუმში თქვენი საღამო დამთავრდება, საქართველოში მიემგზავრებით. რას უკავშირდება ეს?

— პირველი, რაც მინდა გითხრათ. არსებობს რუსული და ქართული პოეზიების ტრადიციული ურთიერთობა. ვფიქრობ, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა ორი პოეზიის ისეთი ურთიერთსიყვარული, როგორც ქართულ და რუსულ პოეზიებს შორის არის. მე მაქვს ასეთი სტრიქონები, უფრო სწორედ, ორტაეპედი:

Про Грузии забыв
неосторожно,
Поэтом быть в
России невозможно.

ძნელად თუ ნახავთ ნებისმიერ წიგნიერ ქართველს, რომელსაც ეს სტრიქონები არ ახსოვდეს.

იხ. მე-4 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..." ჯუნა ჭაჯრი

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა"
The Georgian Railway Ltd


# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №190 (4569) კვირა, 20 ივლისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

პრეზიდენტის ფოსტიდან

## მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

8 ივლისი, 2003 წელი

ძვირფასო ედუარდ,

ამ ბარათით მადლობა მინდა გითხრათ თქვენ და თქვენს კოლეგებს გასულ შაბათ-კვირას საქართველოში ჩემი გულთბილი მიღებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შეგატყობინეთ ჩემი ჩამოსვლის შესახებ. მოხარული ვარ, რომ მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება არჩევნების ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ფორმულის თაობაზე. ამ შეთანხმებისა და ყველა პარტიის მიერ მისი კეთილსინდისიერი შესრულების საფუძველზე საქართველოს ნამდვილად შეუძლია ჩაატაროს ეუთოს სტანდარტების შესაბამისი ისეთი თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც სათანადო შეფასებას მისცემს საერთაშორისო თანამეგობრობა.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა კიდევ უფრო გააძლიერებს თქვენი, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების, დემოკრატიისა და ქართველი ხალხის თავისუფლების ერთგული ლიდერის გამორჩეულ მემკვიდრეობას. მჯერა, რომ იცით, თუ რაოდენ გულწრფელია ჩვენი პატივისცემა თქვენი და ნანულის მიმართ.

სადღეგრძელოში მე მართლაც გადაუჭარბებლად გითხარით, რომ გვიყვარხართ და მხოლოდ ყველაფერ საუკეთესოს ვისურვებდით თქვენთვის, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ თქვენი უნიკალური ნაღვაწი თაობებს შემორჩეს.

ჩემთვის, მართლაცდა უდიდესი სიამოვნება იყო თქვენთან ერთად წარსულის გახსენება და საქართველოს კიდევ ერთხელ მონახულება.

საუკეთესო და გულთბილი სურვილებით
ჯეიმს ა. ბეიკერი.



ჯეიმს ბეიკერი და ედუარდ შევარდნაძე პირისპირ შეხვედრის დროს. 2003 წლის 5 ივლისი. რედაქციის არქივიდან.

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 19 ივლისი — ქ. თბილისი

**მანანა გიგინეიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის საქართველოს პარლამენტის წევრი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი **მანანა გიგინეიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 16 ივლისი — ქ. თბილისი

**ნაზი კვარჩიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში საგანმანათლებლო, სოციალური, სამედიცინო, სარეაბილიტაციო და საქველმოქმედო პროექტების მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი პრაქტიკული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ნაზი კვარჩია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ურჩები

## დიდ კორუფციაში საკუთარ მუთაქაზე ფიქრით

მძიმე ფინანსური ცაიტნოტი, რომელსაც საქართველოს მთავრობა პერმანენტულად განიცდის, უწინარესად, გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლის აშკარად არადამაკმაყოფილებელი დონით. რამდენიც გნებავთ ვილაპარაკოთ ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების გზებზე, საგადასახადო კოდექსის სრულყოფასა და სტიმულირების იმპულსზე, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციამ უნდა მისცეს, უმთავრესი, ჩვენი აზრით, მაინც წვრილ თუ მსხვილ მრეწველთა, ყველა გადასახადის გადამხდელთა კეთილი ნება, მაღალფარდოვანობაში ნუ ჩამომართმევთ, მათი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიციაა, საავსებით გასაგებია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ამის მიზეზი უნებლიე შეცდომა, რაღაც სხვა ობიექტური გარემოება იყოს, მაგრამ ურჩ გადამხდელთა აბსოლუტური უმრავლესობა არაფრად აგდებს კანონს და მხოლოდ საკუთარ „მუთაქაზე" ფიქრობს. ამდენად, ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევებზე ხმამაღლა ვილაპარაკოთ და საზოგადოებრიობას „წარვუდგინოთ".

**დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ, ინდივიდუალური საწარმო „თეიმურაზ ბიჩენოვის" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების 2003 წლის 6 მარტის აქტის მიხედვით, საწარმოს ხელმძღვანელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებული დირებულების გადასახადში დააკისრა 475718 ლარის გადახდა, აქედან კუთვნილი ძირითადი გადასახადია 269319, დანარჩენი — ჯარიმა და საურავი.**

იხ. მე-7 გვ.

ინფორმაცია

### გვეწვევა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია

21 ივლისს საქართველოს ვიზიტად ეწვევა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ლუკინის ხელმძღვანელობით.

ვიზიტის პროგრამით დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან.

სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია შეხვდება აგრეთვე პარლამენტის თითქმის ყველა ფრაქციას, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს, რუსეთთან თანამშრომლობის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელებს ელდარ შენგელაიას, ვახტანგ რჩეულიშვილს და ვახტანგ ყოლბაიას.

### „თბილგაზს" მომარაგება გაუნახევრდა

ივნისში მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობის გამო ენერგეტიკულმა კომპანიამ „იტერამ" „თბილგაზს" მიწოდებული აირის მოცულობა გაუნახევრა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ თბილისს ჯერჯერობით გაზმომარაგებაში შეფერხებები არ ემუქრება, რადგან გაზის საერთაშორისო კორპორაცია გაზის დანაკლისს თავად შეავსებს. თუმცა, ამის პარალელურად, „თბილგაზში" მერიასთან ერთად, დავალიანებისთვის საჭირო თანხების მოძიებაზე მუშაობენ და იმედი აქვთ, რომ დედაქალაქის გაზმომარაგება არ შეუწყდება. ამჟამად გამორთულია მხოლოდ ისანი-სამგორის რაიონი, რადგან ჯავახეთის ქუჩაზე გამავალ საშუალო წნევის გაზსადენზე კვლავ რჩება ავარიული მდგომარეობა.

### დაინერგება ელექტრონული ქსელი

ოქტომბრის ბოლოსთვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში ელექტრონული ქსელი დაინერგება, რაც ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გადაცემა-მიღებას ითვალისწინებს. როგორც „ინტერ-პრესს" სამინისტროში განუცხადეს, „ნოემბრიდან სამინისტროში ქაღალდიანობანა აღარ იარსებებს".

ელექტრონული ქსელის დანერგვისთვის სამინისტროს 20 000 შვეიცარულ ფრანკს გრანტის სახით „საერთაშორისო ელექტროკავშირი" გამოუყოფს, რომლის წევრიც საქართველო 1993 წლიდანაა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ეს პროგრამის პირველი ეტაპია, შემდეგი ეტაპი კი, აღმასრულებელი ხელისუფლების მთლიანი ელექტრონული ქსელით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

### ეხმარებიან უსინათლოთა ბავშვებს

ფონიჭალის დასახლებაში, საქართველოში ერთადერთ უსინათლოთა უბანში, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის" დახმარებით, უსინათლოების ოჯახების ბავშვებისთვის საზაფხულო ბანაკი გაიხსნა. ორი თვის განმავლობაში 150-მდე ბავშვი ფონიჭალაში, 127-ე სკოლაში გახსნილ ბანაკში დაისვენებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

გიხაროდენ!

### თეკლა გაბუნია დაბადებულა

ქიმიკოსმა ირმა ნუცუბიძემ და იურისტმა გირშელ გაბუნიამ ჯვარი დიდუბის ეკლესიაში დაიწერეს. მაყარი გახლდით. მაშინ შევთანხმდით, რომ მათი პირველი შვილის ნათლია ვიქნებოდი. გაბუნიების პირველი შვილი, ჩემი ნათლული გეგა უკვე 3 წლისაა. ამ დღეებში კი თბილისის მე-4 სამშობიარო სახლში ირმას გოგონა შეეძინა. გაბუნიების ოჯახში დღეს დიდი სიხარულია, მადლობლები არიან ექიმ-გინეკოლოგ დალი გაბიძაშვილის, რომელმაც ირმა მშვიდობიანად მოალოგინა.



18 ივლისი ჩემი ნათლულის დაბადების დღეა, პატარას ამ დღესაც ვულოცავ და დაიკოს შეძენასაც, ოჯახს კი კვლავ გამრავლებას ვუსურვებ. ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტესმიერი ერთგულებითა და სიყვარულით,
პროკურორი
გელა ჩივაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

მადლიერება

**თავს უფლებას ვაძლევ, თქვენი მკითხველების ყურადღება მივაპყრო ერთ ძალზე მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩემი შვილისა და რძლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოციალურად სრულიად დაუცველი ადამიანებისა, რომლებმაც რეალური მხარდაჭერა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, როცა მათი ბედით უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდა.**

## მათი ბედით საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდა

იმ დღეს წმინდა ნინოს ეკლესიაში ვიყავი შვილიშვილთან, პატარა ნინოსთან ერთად, რათა უკვე მერამდენედ, წმინდა გიორგის ხატისათვის სანთელი დამენთო და ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობასა და გამარჯვებას შევვედრებოდი.

შინ რომ დავბრუნდით, ზუსტად ხუთ საათზე ტელეფონმა დარეკა და კანცელარიიდან ერთმა ღირსეულმა ქალბატონმა შემატყობინა, პრეზიდენტმა თქვენი თხოვნა დააკმაყოფილა — თქვენი ინვალიდი შვილისა და რძლისთვის სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებო.

ასეთი სიხარული მხოლოდ მაშინ განვიცადე, როდესაც პირველად გავხდი დედა. ედუარდ შევარდნაძის თანადგომამ შვილის მეორედ დაბადების სიხარულს მაზიარა.

ღმერთმა ინებოს, რომ მასაც ხშირად განეცადოს მისი ძვირფასი მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობითა და კეთილდღეობით გამოწვეული ბედნიერება.

იხ. მე-2 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ ავღანეთის ომის მონაწილე. ელექტროენერგიის გადასახადზე მივრცელდებოდა შეღავათი (30 კვტ. საათი თვეში). გასული წლის აპრილიდან კი გადასახადს მახდევინებენ სრულად.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი ელექტროენერგიის გადასახადისას?**

**ნიკოლოზ ვეკუა.**

— 2002 წლის 18 აპრილიდან გარკვეული კატეგორიის პირებზე (მათ შორის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეებზე) შეჩერებული იყო შეღავათები ელექტროენერგიის მოხმარებისას.

საქართველოს პრეზიდენტმა 2002 წლის 22 ნოემბერს ხელი მოაწერა კანონს, რომლის შესაბამისადაც, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს ელექტროენერგიის უფასო მოხმარება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) განესაზღვრათ 125 კვტ. საათით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) — 75 კვტ. საათი თვეში.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

**დაბლობში** ღამით +17⁰, დღისით +27⁰, **მთაში** ღამით +12⁰, დღისით +24⁰, **მაღალ მთაში** ღამით +9⁰, დღისით +15⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ქარი 10-15 მ/წმ.

**ბარში** ღამით +18⁰, დღისით +29⁰, **მთაში** ღამით +16⁰, დღისით +25⁰. **მაღალ მთაში** ღამით +9⁰, დღისით +16⁰.

**თბილისში** ქარი 10-15 მ/წმ.

ღამით +18⁰, დღისით +29⁰.

ლარის კურსი

**19 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4226 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1450 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4101 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0705 | ლარი. |

უკანასკნელ საათს



კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იაპონიას Scud და Rodong ტიპის დამატებითი რაკეტები დაუმიზნა, ნათქვამია სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში. სამხრეთ კორეის დედაქალაქს თავისუფლად მისწვდება არა მარტო ჩრდილოკორეული რაკეტები, არამედ საარტილერიო ჭურვებიც. იაპონია კი ჩრდილოეთ კორეის საზღვრიდან 480 კილომეტრით არის დაშორებული.



აზერბაიჯანის მმართველმა პარტიამ „ენი აზერბაიჯანმა" გასულ კვირას 51 750 ამომრჩევლის ხელმოწერა და სხვა დოკუმენტები წარადგინა და გუშინ ჰეიდარ ალიევი ოფიციალურად გატარდა რეგისტრაციაში პრეზიდენტობის კანდიდატად.

ინტერპანორამა



სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ ევროპელებს ნებისმიერ გართობას, სახლში დასვენება ურჩევნიათ. მოკვლევაში ევროპის 21 ქვეყნის 22 ათასმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა.



ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მომხდარმა ტერაქტმა სამთავრობო ჯარების რვა ჯარისკაცი შეიწირა. მათი მანქანა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. ვარაუდობენ, რომ ნაღმი დისტანციური მართვის პულტის ან საათის მექანიზმის მეშვეობით აამოქმედეს.



გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა აშშ-ს, სწრაფად გადასცეს ხელისუფლება ერაყელ ხალხს. კოფი ანანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერაყელებს არ სურთ გარედან დანერგილი დემოკრატია და თავიანთი ოკუპირებული ქვეყნის მთავარ პრობლემებად უსაფრთხოების, კანონისა და წესრიგის უქონლობას მიიჩნევენ.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

როგორი კანონი მოდის?

# ჩვენ გვინდა ნაღდი კოდექსი და არა საშეღავათო დოკუმენტი

**საპარლამენტო ვადის დასრულებამდე საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციისათვის დარაზმულ „მრეწველებს" ცივი წყალი გადაესხათ. პარლამენტში ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოტანილი კანონპროექტი განიხილეს, რომელიც საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. ეს კანონპროექტი „მრეწველების" ვარიანტისგან რადიკალურად განსხვავებულია.**

დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს მიიღეს და, შეიძლება ითქვას, რომ მის გარშემო იმთავითვე ერთობ უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მის ამოქმედებამდე კოდექსში უკვე ცვლილებები შეიტანეს. იმ დღიდან დაწყებული, 6 წლის განმავლობაში პრაქტიკულად ყველა სასესიო კვირას კოდექსში 2-3 ცვლილება შეაქვთ. ხშირად ყოველივე ამის უკან გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესებია. ძირითადად ცვლილებები შეღავათებს ეხება და, როგორც ხშირად აღნიშნავენ, კოდექსი ერთ დიდ, საშეღავათო დოკუმენტად იქცა.

მეწარმეები, რომლებიც მოქმედ საგადასახადო კოდექსს ფართომასშტაბიანი კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მიზეზად მიიჩნევენ, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებაზე, კარგა ხანია, ლაპარაკობენ. ეს საქმე საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველებმა" ითავეს. მათი ინიციატივით საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ქართველი და ევროპელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჯგუფმა შეიმუშავა, რომელიც პარლამენტმა ამ რამდენიმე თვის წინათ პირველი მოსმენით მიიღო. შეგახსენებთ, პრეზიდენტმა საყვედური გამოთქვა, „მრეწველების" პროექტის პირველი მოსმენით მიღება პარლამენტს არ უნდა ეჩქარა, ვინაიდან ის მთავრობას არ განუხილავსო.

საყვედური ფინანსთა სამინისტროს ეხებოდა და „მრეწველთა" ფრაქციას საკუთარ თავზე არ მიუღიაო, — განაცხადეს პასუხად „მრეწველებმა". — საკითხის მთავრობის სხდომაზე გატანა ჩვენი საქმე არ არის. პრეზიდენტს თვითონ კოდექსი ნეგატიურად არ შეუფასებია. მან თქვა, მსგავსი პრინციპული საკითხები მთავრობის სხდომაზე უნდა იხილებოდესო, — ასეთი იყო მათი განმარტება. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კანონპროექტი მიზნად მოქმედი საგადასახადო კოდექსის გამარტივებას, გადასახადების რაოდენობის შემცირებასა და საგადასახადო ბაზის ლეგალიზებას ისახავდა. თუმცა, ოპონენტებმა მათი ნამუშევარი არასრულყოფილად მიიჩნიეს.



— პარლამენტმა ქვეყნის წინაშე სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, როდესაც ამ დაუმთავრებელ, ნახევარფაბრიკატ კოდექსს მხარი დაუჭირა, — აღშფოთებას გამოხატავდა ექსპერტთა ერთი ნაწილი, — ახალმა კოდექსმა ქვეყანას საფინანსო კრიზისიდან გამოსვლის შანსი უნდა მისცეს. მას ფისკალური ეფექტი უნდა ახლდეს, რაც „მრეწველების" კოდექსს არ გააჩნიაო. ასე იყო თუ ისე, „მრეწველებმა" საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვისთვის პარლამენტის საკოორდინაციო ჯგუფი შექმნეს, რომელშიც ექსპერტები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობდნენ. კოდექსის მეორე მოსმენისათვის მომზადების პროცესში ეკონომისტებისა და დამკვირვებლების სტატუსით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩართვაზეც საუბრობდნენ. მაგრამ „მრეწველებს" ფინანსთა სამინისტრომ „დაასწრო" და, როგორც ვთქვით, თავისი კანონპროექტი შეიტანა.

**დავით სალარიძე, პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე:** მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტი სავალუტო ფონდის მოთხოვნების ბაზაზე შექმნილი სქელტანიანი დოკუმენტია, ძალიან სერიოზული ცვლილებებით. მას პირველი მოსმენით ვიხილავთ. ენახოთ, რას შეიძლება ამ დოკუმენტიდან მხარი დავუჭიროთ და რას არა. არის თუ არა იქ ისეთი ცვლილება, რომელიც ლიბერალიზაციისაკენ იქნება მიმართული? ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ არა. უფრო სწორად, ისეთი პრინციპული ცვლილება, რომელიც მეწარმეს სიკეთეს მოუტანს, იქ არ არის. ახალი მომენტები კი შემოდის. ვთქვათ, აქციზები მანქანის საბურავებზე და ხიზილალაზე გაუქმებულია, ვისაც 100 000 ლარი აქვს შემოსავალი, მან ყველა სხვა გადასახადის ნაცვლად 5 პროცენტი უნდა გადაიხადოს. ვინც ამ საკითხებში ჩახედულია, კითხვა გაუჩნდება, — ეს პროცენტი დაბალია თუ მაღალი, მეტია საჭირო, თუ ნაკლები. ამას სერიოზული განსჯა სჭირდება. ამასთან, ფიქსირებულ გადასახადში ბეგარის დიაპაზონი 30 ლარიდან 100 ლარამდეა განსაზღვრული. ანუ, იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, როგორიც არიან წვრილი ხელოსნები, მღებავები, კალატოზები, ავტოპროფილაქტიკაში მომუშავენი, სახლის დამლაგებლები და სხვა, მათი მუშაობის ფიქსირებული გადასახადი 30-დან 100 ლარამდეა. ამასაც აწონ-დაწონვა სჭირდება: რა არის ეს გადასახადი, ბიუჯეტს რას მისცემს, ამ ხალხს ზედმეტ ტვირთს ხომ არ ავკიდებთ, გადასახადის აკრეფის დროს ფული ხომ არ დაიმალება და სხვა. ბევრი კითხვა ჩნდება. ვიმეორებ, ყველაფერ ამას სერიოზული ფიქრი და განსჯა სჭირდება. ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენით ვიხილავთ, დეპუტატებს ბევრი შენიშვნა აქვთ, რაღაც კონდენციამდე, ალბათ, მივალთ.

შეკითხვაზე, თუ რა ბედი ეწევა „მრეწველთა" საგადასახადო კანონპროექტს, დავით სალარიძემ გვიპასუხა: — „მრეწველების" პროექტი პირველი მოსმენის შემდეგ შეჩერდა. ამ პარლამენტს საკანონმდებლო ვადის დასრულებამდე ბოლო ამოსუნთქვაღა დარჩა და საეჭვოა, რომ მისი განხილვა მოესწროს. მაგრამ გაჩერდებიან „მრეწველები"? მათ ხომ ამდენი შრომა წყალში ჩაეყრებათ?

**მზია გელენავა.**

მადლიერება

## მათი ბედით საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდა

პირველი ხელიდან

[illegible]

მყოფ ადამიანებს მხოლოდ საკუთარი [illegible]

[illegible] ლისუფლებაში და ამჟამად დაგიპირისპირდათ.

მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც გონს მოეგებიან და მიხვდებიან, რა დიდი გამოცდილე[illegible]

**მრავალშვილიანი დედა ნუნუ გოგიბერიძე.**

არჩევნების წინ

[illegible]

## მილიონები პროლეტარიატის მოსყიდვისათვის

1999 წლის არჩევნების წინა [illegible]



**ბონდო გულიაშვილი.**

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

**დმანისის რაიონის პედაგოგთა საქართველოს ორდენებითა და მედლით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დმანისის რაიონის პედაგოგები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლით:

**ღირსების ორდენით:**

**ანვარ სულეიმანოვი** — სოფელ იაგუფლოს საშუალო სკოლის დირექტორი; **მაყვალა ჩაჩანიძე** — სოფელ განთიადის საშუალო სკოლის დირექტორი.

**ღირსების მედლით:**

**შალვა ნინიაშვილი** — სოფელ დიდი დმანისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

**დმანისის რაიონის მედიცინის მუშაკთა საქართველოს ორდენითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პრაქტიკული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დმანისის რაიონის მედიცინის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**სტამბულ ბაირამოვი** — რაიონული საავადმყოფოს ქირურგი.

**ღირსების მედლით:**

**შამილ ალიევი** — რაიონული პოლიკლინიკის თერაპევტი;
**გიული ციხელაშვილი** — რაიონული პოლიკლინიკის ოფთალმოლოგი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

**წვევამდელებმა ფიცი დადეს**

**გაერთიანებული სასაზღვრო-სასწავლო ცენტრის ლილოს სასაზღვრო ბაზაზე გუშინ 87 წვევამდელმა სამხედრო ფიცი დადო. როგორც „ინტერ-პრესს" საზღვრის დაცვის დეპარტამენტში განუცხადეს, წვევამდელებმა ფიცის მიღებამდე ერთი თვის განმავლობაში, სპეციალური სასაზღვრო პროგრამის კურსი გაიარეს.**

**წელს სასწავლო-სასაზღვრო ბაზებზე სპეციალური მომზადების კურსი ოთხმა ოცეულმა გაიარა. ამათგან სამი ათეული პირველ სასწავლო ბაზაზე, ხოლო ერთი — ოქროყანის ბაზაზე მომზადდა.**

კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 19 ივლისი ქ. თბილისი

**თ. ჩარკვიანის საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **თეიმურაზ ჩარკვიანი** საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრად.

**ედუარდ შევარდნაძე.**



## თეიმურაზ ჩარკვიანი

**დაიბადა 1952 წლის 5 თებერვალს, ქ. თბილისში.**

**1969 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა ბათუმის № 2 საშუალო სკოლა, ხოლო 1974 წელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. იმავე წელს შრომითი საქმიანობა დაიწყო ბათუმში, მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის რკინა-ბეტონის ქარხნის ოსტატად.**

**1977-1978 წლებში სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარი ინჟინერია, მომდევნო 10 წელიწადი იმავე ქარხნის დირექტორია.**

**1988-1992 წლებში მუშაობს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველად, 1992 წლიდან, მინისტრად დანიშვნამდე, იყო სააქციო საზოგადოება სამშენებლო კომპანია „თბილისის" პრეზიდენტი.**

**1988-1990 წლებში დანიშნული იყო სომხეთში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის უფროსად ლენინაკანისა და ახურიანის რაიონებში, სანიმუშო საქმიანობისთვის დააჯილდოვეს ხალხთა მეგობრობის ორდენით. 1991-1995 წლებში საჩხერის რაიონში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის უფროსია.**

**1995-1996 წლებში მონაწილეობს ქ. ბუდიონოვსკის ცნობილი მოვლენების შედეგად დაზიანებული რესპუბლიკური საავადმყოფოს აღდგენით და სარეკონსტრუქციო სამუშაოებში — სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელია.**

**1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით.**

**1999 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.**

**შრომითი მოღვაწეობის პერიოდში აშენებული აქვს მრავალი ობიექტი: ტაძარი გარდაბანში, თბილისში საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი სახლები, მეფრინველეობის კომპლექსები, ღვინის ქარხნები, რძის ქარხნები, საავადმყოფოები, ობიექტები მსოფლიო ბანკის შეკვეთით, ფრანგულ-ქართული ლუდის ქარხანა, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობა და ასე შემდეგ. მონაწილეობდა თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში და სამების ტაძრის მშენებლობაში ბათუმში. პარალელურად აშენებდა 72-მეგავატიან თბოელექტროსადგურს ქობულეთში, უეფას შტაბბინას, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ბაზას, მონაწილეობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში.**

**ჰყავს მეუღლე — ნინო ქორქაშვილი-ჩარკვიანი, ორი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი, მამა — ოთარ ჩარკვიანი — საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, და დედა მერი ჯაფარიძე, ექიმი, ქვეყანაში ცნობილი პიროვნებები არიან.**

რეპლიკა

## „მე და ბეიკერმა"...

**ჩვენმა მოხერხებულმა პოლიტიკოსებმა, რასაკვირველია, ხელიდან არ გაუშვეს ჯეიმს ბეიკერის სახელით სპეკულირების შანსი. ერთმა პოპულარულ-პოპულისტური პარტიის ლიდერმა ტელემონოლოგი, რომელიც რამდენიმე არხმა სხვადასხვა დროს „გააჟღერა", ასე დაიწყო.**

„მე და ბეიკერმა (მიმდევრობა დაცულია!) ვისაუბრეთ და მოვილაპარაკეთ"... სხვათა შორის, გაგრძელებას „გულის ფანცქალით" მოველით: „მერე სახინკლეში შევედით, ლუდიც დავლიეთ"...

ვერ ვიტყვი, „იმან და ბეიკერმა" განიხილეს თუ არა წინასაარჩევნო კამპანიისათვის მზადების საკითხები, მაგრამ ფაქტია: ქალაქის ქუჩებში თვალსაჩინოების სახით, უკვე გამოჩნდა ამ პარტიის „ანგარიში საქართველოს მოსახლეობას". აი, ერთი პუნქტი ჩაბარებული ანგარიშიდან (სტილი დაცულია!): „პარლამენტი ვაიძულეთ რეგისტრაციაში გაეტარებინა საკონსტიტუციო ცვლილებები, სადაც გათვალისწინებულია ანაბარდაკარგული მილიონობით ჩვენი თანამემამულისათვის სამართლიანი კურსით თანხის დაბრუნებაზე სახელმწიფო გარანტიების მიღება და მეანაბრეთათვის შესაბამისი წიგნაკების ხელახლა გაცემა. ასევე, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისათვის სახელმწიფო შემწეობების გაცემის აუცილებლობა".

„პარლამენტი ვაიძულეთო" (დავტოვოთ „ანგარიშის" შემდგენელთა სინდისზე გამოთქმის არაკორექტულობა, — აქ სხვა რამის შენიშვნა მინდა), — და მოდიან მოქალაქენი „იძულებული" პარლამენტის საზოგადოებრივ მისაღებში და „ეგრევე, იქვე" თხოულობენ სახელმწიფო შემწეობის გაცემას. მოსახლეობას შორის, ვისაც პარტია ანგარიშს აბარებს, გულუბრყვილოებიც ხომ არიან, ქუჩაში წაკითხული მათ თავიანთ ენაზე „თარგმნეს" და მისაღებში მოაკითხეს „შესაბამის წიგნაკებსაც" და სახელმწიფო დახმარებასაც. ასეთთათვის პარლამენტი, წიგნაკი და შემწეობაა მთავარი. ჰოდა, მოაკითხეს და როგორ გინდა იოლად დაარწმუნო, რომ პარლამენტში ვერ მიიღებენ ვერც ერთსა და ვერც მეორეს?

...უცნაურია კაცის ასოციაციები. „მე და ბეიკერმა" ხლესტაკოვი გამახსენა „რევიზორიდან", — გოროდნიჩის ცოლსა და ქალიშვილთან რომ ყელყელაობდა, — „მხარზე ვუთათუნებ ხელს და ვეკითხები: — სხვა როგორა ხარ, ძმაო პუშკინო"...

სხვათა შორის, იმ პარტბოსს „ლაპარაკს ვერ დავუკარგავ" — ენა უჭრის, მაგრამ კარგი იქნება, ახსოვდეს, რომ ამომრჩეველი (ტელემაყურებელიც) „ინტრიგანია" და მისთვის ყველაფერს აქვს მნიშვნელობა", იმასაც, თუ როგორი მიმდევრობით იტყვი: „მე და ბეიკერმა" თუ „ბეიკერმა და მე"...

**თამაზ ებანოიძე.**

**წვევამდელები სამხედრო ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთებზე გადანაწილდებიან.**

**აფხაზეთის კაზაკთა სათვისტომოც გააქტიურდა**

**აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემის პროცესში აფხაზეთის კაზაკთა სათვისტომოც ჩაერთო, რომლის კონგრესმაც რუსეთის მოქალაქის საზღვარგარეთული პასპორტების გაცემა 1 ივლისს დაიწყო.**

**პასპორტები იმ პირებზე გაიცემა, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებისთვის საჭირო რეგისტრაცია მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ხელმეორედ გაიარეს.**

**პასპორტების გაცემის პროცესის დასაჩქარებლად, აღნიშნულ საქმიანობას ეწევა ქალაქ გუდაუთასა და გაგრის ზონაში აფხაზეთის კაზაკთა სათვისტომოს ატამანი, აფხაზური პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, გუდაუთაში მცხოვრები ოლეგ პეტროვი.**

**ბუკიას ბაღს ჯიხურებისაგან ათავისუფლებენ**

**თბილისის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ ბუკიას სახელობის ბაღი სავაჭრო ჯიხურებისგან გაათავისუფლა.**

**როგორც მოსალოდნელი იყო, სკვერის ტერიტორიიდან სავაჭრო ჯიხურების გატანის პროცესს ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია და პოლიტიკური ხასიათიც კი მიიღო, სადაც ყველაზე ხშირად შევარდნაძისა და საააკაშვილის გვარები გაისმოდა.**

**რეზო ბაკურაძემ, რომელმაც ჟურნალისტებს თავი მიწის მესაკუთრედ გააცნო, „ნაციონალები" პროვოკატორობასა და კერძო ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრაში დაადანაშაულა. ბაკურაძის განცხადებით, მან 1999 წელს შესაბამისი კანონის თანახმად, ბაღის 460 კვ. მეტრი, როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ისე შეიძინა, ხოლო 3600 კვ. მეტრი იჯარით აქვს აღებული და ყოველწლიურად 1700 ლარს იხდის.**

**„ნაციონალთა" მხარდამჭერებმა ბაკურაძეს მევახშეობაში და სავაჭრო ჯიხურებით უკანონოდ სარგებლობაში დასდეს ბრალი.**

**თავად ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის დავით მუმლაძის განცხადებით, ბუკიას ბაღში განთავსებული ყველა ჯიხური უნებართვოა, სადაც დიდძალი „შავი ფული" მოძრაობს.**

**ქალაქის ადმინისტრაციულ ინსპექციას ჯიხურების მოვაჭრეებისთვის გუშინ ალტერნატიული სავაჭრო ადგილები არ შეუთავაზებია.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

პოზიცია

# ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ

**გაუგრძელდეს თუ არა საქართველოს პარლამენტის 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტაციას უფლებამოსილება?**

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო თავისი მორიგი საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადება. ქვეყნის წამყვანმა ძალებმა უკვე დაიწყეს სამზადისი მომავალი საპარლამენტო ბატალიებისათვის: პარტიებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები საარჩევნო ბლოკების შექმნის მიზნით, თუმცა ამ მხრივ, ჯერჯერობით, მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის კონტურები გამოიკვეთა. პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებისათვის ბრძოლას დამატებით სიმძაფრეს მატებს ის გარემოება, რომ გამარჯვებული პოლიტიკური ძალა აღმოჩნდება ხელსაყრელ სასტარტო პოზიციაში და გარკვეულწილად სერიოზულ ნაბიჯს გადადგამს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების მოპოვებისთვისაც.

აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ სადეპუტატო მანდატს ახლადარჩეულ პარლამენტში. ასეთ ვითარებაში კვლავ წამოიწია წინა პლანზე 1992 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტატებისათვის უფლებამოსილების გაგრძელება-არგაგრძელების საკითხმა. პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორები კატეგორიულად მოითხოვენ 1992 წელს აფხაზეთიდან არჩეული დეპუტატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას. უფრო მეტიც, ამ მოთხოვნით ერთ-ერთმა ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ევროპულ-კავკასიურმა ინსტიტუტმა" (თავმჯდომარე აფხაზეთიდან დევნილი კობა ჩოფლიანი) სარჩელიც კი (დევნილთა სახელით) შეიტანა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოში.

ერთი შეხედვით, რასაკვირველია, იმათი პოზიცია, ვინც ითხოვს აფხაზეთის დეპუტატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას, სავსებით სამართლიანია. მართლაც, ამ განვლილი 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გარკვეული ცვლილება განიცადა ელექტორატმა დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. საარჩევნო ხმის უფლება მოიპოვა დევნილთა იმ თაობამ, რომელიც 1992წ. 10 წლისაც კი არ იყო. ამასთან დაკავშირებით მართლაც ძნელია არ დაეთანხმო არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის" თავმჯდომარეს, ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს, პროფესიონალ იურისტს მანუჩარ ახალაიას, რომელიც გულისტკივილით წერს: „ის, რომ ჩვენი მამების თაობამ გააკეთა არჩევანი 1992 წელს, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, მათი შვილები... ულტერნატივოდ ვცნობთ ამ არჩევანს და ჩვენს გაჭაღარავებამდე ეს ასე უნდა დარჩეს". ან განა ვინმეს ეეჭვება, რომ საარჩევნო ვადების არსებობა მთელს მსოფლიოში სწორედ ელექტორატის მიერ გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისი ადრე მიღებული არჩევანის შესაძლო გადასინჯვის აუცილებლობითაა განპირობებული?! ან კიდევ, ვინმემ შეიძლება იდავოს იმაზე, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საკუთარ მოქალაქეთა თუნდაც მცირერიცხოვანი ნაწილის „კონსტიტუციური უფლებების დარღვევა და ყველაზე მაღლა სწორედ კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები უნდა დააყენოს"? რასაკვირველია, ყოველივე ეს აქსიომაა, მაგრამ არსებობს დიდი **მაგრამ**, რომლის გამოც დღევანდელი საქართველო იძულებულია, დროებით თავი შეიკავოს ამ საყოველთაო ნორმების უპირობო დაცვისაგან და შეგნებულად მიიღოს, ერთი შეხედვით ნამდვილად არაპოპულარული და არადემოკრატიული გადაწყვეტილება — კიდევ ერთხელ გაუგრძელოს უფლებამოსილება (ღმერთმა ქნას, უკანასკნელად) საქართველოს პარლამენტში 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტაციას.

რაში მდგომარეობს ის **მაგრამ**, რომლის გამოც, ჩვენ იძულებული ვართ, ხაზს ვუსვამ, **იძულებული ვართ** გავაკეთოთ ამგვარი დასკვნა. როგორც ცნობილია, აგერ უკვე მე-10 წელი სრულდება, მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს თავის იურისდიქციას აფხაზეთში და ჩვენი ქვეყნის ეს ძირძველი კუთხე მოწყვეტილია დედა-სამშობლოს. სამშვიდობო პროცესმა, რომელშიც აქტიურადაა ჩართული გაერო, ეუთო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მართალია, გარკვეულწილად შეზღუდა (განსაკუთრებით 1999 წლის ეუთოს სტამბოლის სამიტის შემდეგ) საქართველოს „მეგობარი" რუსეთის შესაძლებლობანი აქტიურად დაიცვას სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი, მაგრამ ამან, ჯერჯერობით, რაიმე რეალური შედეგი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში მაინც ვერ მოგვცა და აფხაზეთი კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრცის მიღმა. ე. ი. ვითარება არ შეცვლილა და ჩვენ კვლავ დავდექით ისეთივე სიტუაციის წინაშე, როგორიც იყო 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნების წინ. მაშინ, როგორც ცნობილია, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ცნობილ ექსპერტებთან, სამართლისა და სახელმწიფო მოწყობის თვალსაჩინო (მათ შორის უცხოელ) სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება (რომელიც აისახა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" 1995 წლის ორგანული კანონის გარდამავალ დებულებებში) აფხაზეთში 1992 წელს არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნამდე.

1999 წლის საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, „პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონში კვლავ გაითვალისწინა რა არსებული ვითარება, ერთხელ კიდევ გაუგრძელა უფლებამოსილება 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტატებს „აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე". ამასთან, კანონში საგანგებოდ მიეთითა, რომ „აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების ჩატარებისა და მათი უფლებამოსილების ცნობისთანავე უფლებამოსილებაგაგრძელებული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება შეწყდება" (თავი მე-8, მუხლი 59, გარდამავალი დებულებანი). ფაქტობრივად ასევეა შესული ეს ფორმულირება ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის 197-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია აგრეთვე ისიც, რომ 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის რეგისტრირებული იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატად.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი გარემოებები:

**ა) ლეგიტიმურობის ხარისხი.** 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის (მათ შორის საკუთრივ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა) მნიშვნელოვანი (50 პროცენტზე მეტი მაინც) ნაწილი. სწორედ ეს მომენტია გადამწყვეტი 1992 წელს აფხაზეთში არჩეული დეპუტატების ლეგიტიმურობის ხარისხის განსაზღვრისას.

**ბ) სამართლებრივი მემკვიდრეობის პრინციპი.** ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილება შეუწყდება 1992 წელს აფხაზეთში არჩეულ დეპუტატებს, აფხაზეთს არ ეყოლება წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, ეს კი, ნებსით თუ უნებლიეთ, იქნება იურიდიული დადასტურება იმისა, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი (ამ შემთხვევაში დევნილთა მიერ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ არჩეული ახალი დეპუტაცია იქნება არა მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა) წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, არამედ მხოლოდ დევნილთა წარმომადგენლობა.

**გ) აფხაზეთის დღევანდელი ვითარება.** აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 1993 წ. გამოცხადებული საგანგებო (საომარი) მდგომარეობა. მისი გაუქმება და საქართველოს პარლამენტში ახალი დეპუტაციის არჩევა მხოლოდ აფხაზეთიდან გამოდევნილი მოსახლეობის მიერ, ფაქტობრივად ნიშნავს შეგუებას 1993 წლის 30 სექტემბრის შემდგომ აფხაზეთში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურასთან, ანუ სეპარატისტული რეჟიმის კანონიერების ცნობა-აღიარებას, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად უნდა შეფასდეს

**დ) საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა.** მსოფლიო თანამეგობრობა, ითვალისწინებს რა აფხაზეთში შექმნილ არაორდინალურ სიტუაციას, რომელიც არ იძლევა იქ ნორმალური, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საშუალებას, უკანონოდ თვლის 1994 წლიდან დღემდე სეპარატისტული რეჟიმის მიერ აფხაზეთში ჩატარებულ ყველა დონის არჩევნებს. ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა იმისა, რომ აფხაზეთის დეპუტაციის არჩევა ენგურსგამოღმა საქართველოში, აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილის მიერ იმავე მსოფლიო თანამეგობრობამ ასევე უკანონოდ ცნოს. გარდა ამისა, აფხაზეთის დეპუტაციის არჩევნების მოწყობით აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ფაქტობრივად ჩვენ ვაღიარებთ, რომ სეპარატისტებს სრული უფლება ჰქონდათ ჩაეტარებინათ არჩევნები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

**ზურაბ პაპასქირი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

(დასასრული იქნება)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სიტუაცია

**დღეს, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ურჩ გადამხდელთა წყალობით ქრონიკულ დეფიციტს განიცდის, სააქციო საზოგადოება „მინა" (ყოფილი ქსნის მინის ქარხანა) იმ მცირერიცხოვან საწარმოთა შორისაა, რომელთა ხელმძღვანელებიც პირად ინტერესებზე მაღლა ყოველთვის ქვეყნის ინტერესებს აყენებენ. მართალია, მათივე თავკაცთა გერგილიანი საქმიანობის სასიკეთო წყალი ჯერჯერობით სხვებს არ გადასხმიათ, მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე ისინიც გონს მოეგებიან და...**

**მანამდე კი ჩვენი გაძვალტყავებული ბიუჯეტის შევსება, ალბათ, კვლავ კეთილსინდისიერ გადამხდელებს მოუწევთ, რომლებსაც მათი არაკეთილსინდისიერი კოლეგების გვერდით დღეს ეულად უხდებათ საქვეყნო საქმის კეთება.**

# „ქმნა მართლისა სამართლისა"...

## „დააპურებს" საოლქო სასამართლო სამართალს?

სააქციო საზოგადოება „მინა" საქართველოში ერთადერთი, ხოლო ამიერკავკასიაში მინის უდიდესი მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების სრულ ციკლს ბოთლის ორიგინალური დიზაინის დამუშავებიდან მზა პროდუქციის ადგილზე მიწოდებით. ქარხანა სადღეისოდ საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის ოცდახუთზე მეტ სხვადასხვა სახეობის მინის ბოთლს აწარმოებს როგორც ალკოჰოლური, ისე უალკოჰოლო სასმელებისათვის. საქართველოში მისი ძირითადი მომხმარებლები არიან მინერალური წყლების კომპანია, „კოკა-კოლა", „ყაზბეგი", „კასტელი", [illegible]

[illegible] ლიანი გამოცდილება აქვს. მასთან ერთად, საწარმოს აქციონერია, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რაც თავისთავად განაპირობებს ფინანსურ სტაბილურობას.

სწორედ მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი აქ ახალი თანამედროვე ღუმელისა და მანქანა-დანადგარების შემოტანა და დამონტაჟება, რომლებმაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მინის ტარის წარმოება განაპირობა. ასეთი უახლოესი ტექნოლოგიის დანერგვა კი, პირველად აქ გახდა შესაძლებელი. ინვესტიციის სახით [illegible]

[illegible] დახსვა დაჯგუფების წარმომადგენლებს შორის. საბედნიეროდ, მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ დღეს საწარმო კვლავ არანაკლები პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

საქმე ეხება ამ სააქციო საზოგადოებასა და შპს „რაინდი-1" შორის ზიანის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილ დავას, რომელიც რუსეთში, კერძოდ, ნოპინოს მინის ტარისა და მიტარას მინის ქარხანაში არსებული მანქანა-დანადგარების ყიდვის შემდეგ წარმოიშვა. 1996 წელს ქსნის მინის ტარის ქარხანამ (სს „მინამ") ამ საწარმოებთან გააფორმა ხელშეკრულებები, ერთობლივი საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის თანახმადაც სს „მინას" მანქანა-დანადგარები უნდა გამოეყენებინა ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ხოლო მოგება თანაბრად გაყოფილიყო. ამრიგად, როდესაც „მინამ" ეს გარიგება დადო შპს „რაინდი-1"-თან, ამ უკანასკნელის საკუთრების უფლება განპირობებული იყო ხელშეკრულებებით ურთიერთ საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ.

შემდეგ ისე მოხდა, რომ რუსეთელებსა და შპს „რაინდი-1"-ს შო-[illegible]

ბის ყველა უფლება, გარდა საკუთრების პირდაპირი ფლობის უფლებისა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ თავისი 2000 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „მინას" დააკისრა რუსეთში, აპინოში არსებული მანქანა-დანადგარების შპს „რაინდი-1"-სთვის გადაცემა. ეს გადაწყვეტილება სს „მინამ" თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ გააუქმა მცხეთის სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი მოტივების გამო: 1. მანქანა-დანადგარებზე საკუთრების უფლება სს „მინამ" სათანადოდ გადასცა შპს „რაინდი-1"-ს. 2. სს „მინას" ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ერთობლივი საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისა და იჯარის ხელშეკრულების გამო, რადგან სს „მინა" აღარ ფლობდა ამ მანქანა-დანადგარებზე საკუთრების უფლებას.

ახლა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩა „რაინდი-1", რომელმაც საქმე საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და როგორც სს „მინის" წარმომადგენლები აცხადებენ, **სასამართლოს მიკერძოების შემდეგ თურმე „რაინდულ" გამარჯვებასაც მიაღწია.** [illegible]

თეიმურაზ კინწურაშვილი.

P. S. [illegible] იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საოლქო სასამართლო, ამჯერად მაინც, სწორ, მეუვალ პოზიციას დაიჭერს და ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე კანონიერ გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

თ. კ.

დისკუსია

# მიწა ქვეყნის ძირითადი სიმდიდრეა და მას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ

საქართველოში აგრარული რეფორმა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგებით, უპირველეს ყოვლისა, მიწის რეფორმით დაიწყო, რის შედეგადაც 1996 წლის 22 მარტს მიღებული იქნა კანონი მიწაზე კერძო საკუთრების აღიარებისა და დამკვიდრების შესახებ. იქიდან მოყოლებული საკუთრებაში და იჯარით გაიცა 1516,8 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მთლიანი სავარგული ფართობის 51 პროცენტი, მათ შორის სახნავი 56,3 და მრავალწლიანი ნარგავების 77 პროცენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლის დაკანონება სრულებითაც არ ნიშნავს სახელმწიფო საკუთრებიდან მიწის მთელი ფართობის კერძო საკუთრებაში გადასვლას. სახელმწიფო ყოველთვის უნდა დარჩეს მიწის ძირითად მესაკუთრედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე თავისი მიზნების განსახორციელებლად (ეს მიზნებია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური). ცივილიზებული სახელმწიფოები თავის საკუთრებაში იტოვებენ ისეთ მიწებსაც, რომელთა ნაყოფიერებისა და ინტენსიურობის დონის ამაღლებისათვის გაღებული აქვთ მსხვილი ინვესტიციები. ამის ნათელი მაგალითია ჰოლანდია (ზეიდერზეეს ყურე და მისი ათვისება). აქ მიწას გასცემენ მხოლოდ იჯარით და არა კერძო საკუთრებაში. საქართველოში ასეთ მიწად შეიძლება ჩაითვალოს მელიორირებული მიწები (კოლხეთის, ალაზნის ველის, ტირიფონას და ა. შ.), რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის სახელმწიფომ დიდი კაპიტალური დაბანდებები გაიღო.

ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს აგლომერაციის ზონის, რეკრეაციული დანიშნულების, კულტურული, ისტორიული დანიშნულების და ქვეყნის შიგა მიგრაციის განხორციელებისთვის საჭირო მიწები.

სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს აგრეთვე სამეცნიერო-საცდელი, სანერგე-სანაშენე და სასწავლო ბაზებისათვის აუცილებელი მიწები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გარდამავალ პერიოდში, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება და სადაც საკუთრების ცნება ძალიან პოლიტიზებული და იდეოლოგიზებულია, იგი სულაც არ არის პანაცეა. საჭიროა, როგორც ყველგან, მხოლოდ მიწაზე წესრიგის დამყარება და ამ საქმეში მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიწაზე საკუთრება უნდა იყოს დატვირთული სოციალური ფუნქციებით. ეს არის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც საზოგადოების წინაშე.

ცნობილი გერმანელი მეცნიერ-იურისტი კარლ ლარენცი წერს: „მიწის საკუთრება იმავდროულად ნიშნავს ეკონომიკურ ძალაუფლებას და ასეთი ძალაუფლება მის მფლობელს ავალდებულებს იმგვარ გამოყენებას, რომელიც საზოგადოების ინტერესებს არ შეეწინააღმდეგება".

მართალია მიწაზე, როგორც ყველა ნივთზე, კერძო საკუთრება მის მესაკუთრეს ხდის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძით გადაცემის და სხვა გარიგებათა უფლებამოსილად, მაგრამ ასეთი უფლებები მიწის მესაკუთრეს, როგორც განსაკუთრებულ ნივთზე, არ შეუძლია მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს. იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტი დიდი ხანია არსებობს, როგორც წესი, მიწაზე საკუთრება ყველგან განსხვავებულია, იგი განსაკუთრებულ უძრავ ქონებას წარმოადგენს და მასზე სახელმწიფოს, ასევე განსაკუთრებული უფლებები და სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული მოთხოვნები გააჩნია. ამიტომ მიწის განკარგვის უფლებების აბსოლუტიზაცია არსად არ არსებობს და მიწის მესაკუთრეს არ შეუძლია, რასაც მოისურვებს, ისე გააკეთოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

საკუთრების უფლების შეზღუდვამ მიწაზე დღევანდელ მსოფლიოში ფართო გაქანება მიიღო, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევაში მიწის უზენაესი მესაკუთრე და განმკარგველი სახელმწიფოა. მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან არის ასეთი შეზღუდვები:

— სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მესაკუთრეს არ შეუძლია გაყიდოს იგი სხვა დანიშნულებით;

— არ შეიძლება საგარეუბნო და რეკრეაციულ ზონებში სავარგულების გამოყენება მშენებლობისათვის;

— მესაკუთრე ფერმერს უფლება აქვს ერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგული მეორე სახეობის სავარგულად გამოიყენოს, მაგრამ მას ეკრძალება პროდუქტიული მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

— ბევრ ქვეყანაში მიწის მესაკუთრეს ეკრძალება სხვა ქვეყნის მოქალაქეზე მიწის მიყიდვა;

— იაპონიასა და საფრანგეთში მიწის ყიდვა-გაყიდვა კანონის თანახმად საჯარო გამოცხადებით ხდება. ხელაღებით მიწის მემკვიდრეობით გადაცემაც არ ხდება. მაგალითად, საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო მიწის მემკვიდრეობით მიღების დროს უპირატესობა ენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას მისდევს, სხვა მემკვიდრეებს კი სათანადო კომპენსაცია ეძლევათ;

— გერმანიაში ჯერ კიდევ 1896 წელს შემოიღეს გლეხური მეურნეობის ერთმემკვიდრეობის ინსტიტუტი, ხოლო ასეთივე პრინციპი 1912 წელს დაკანონდა შვეიცარიაში.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთრებაში მყოფი მიწის სავალდებულო დამუშავებას, რადგან იგი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეობს და მის მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს. ასეთ მოთხოვნებს, სხვათა შორის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 116-ე მუხლიც ითვალისწინებდა: „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე".

ასეთი შეზღუდვებით სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა უწყობდეს მიწის მესაკუთრეს ხელს, რომ მან მიწა მიზნობრივი დანიშნულებით ეფექტიანად გამოიყენოს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" მიმდინარე წლის 20 ივნისს გამოქვეყნებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დამატებითი პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონპროექტის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებული იქნეს ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი. ამასთან ერთად, ამ ეტაპზე პრივატიზებას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში გამოუყენებლად დარჩენილი მიწის ნაკვეთები, კანონპროექტით გათვალისწინებული სპეციალური აუქციონის წესი და პრივატიზება არ უნდა შეეხოს იჯარით სარგებლობაში გაცემულ მიწის ნაკვეთებს, ხოლო იჯარის ვადის გასვლისას დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო დარჩეს კვლავ იმ მიწების მესაკუთრე, რათა მას ჰქონდეს თავისი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალება. განსაკუთრებით მოულოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგად (მიწისძვრა, ზვავები, წყალდიდობები, მეწყერები) მოსახლეობის საცხოვრებლად უვარგისი ფართობებიდან სხვა ადგილებზე ჩასახლებისათვის. ამასთან, იჯარიდან დაბრუნებული ფართობების შემდეგ სახელმწიფოს საშუალება მიეცემა უფრო სარგებლიან პირობებში გასცეს ნაკვეთები იჯარით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო იქნება. იჯარით გაცემული მიწის პრივატიზების შემთხვევაში კი მხოლოდ ერთხელ შეივსება ბიუჯეტი.



გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც: ამჟამად სახელმწიფო საკუთრების მიწებს, რომლებიც იჯარითაა გაცემული კონკრეტულ მოსარგებლეებზე, ეს უკანასკნელნი ნაყოფიერად რომ არ იყენებდნენ, მაშინ ხომ შეწყვეტდნენ იჯარას და მიწას სახელმწიფოს დაუბრუნებდნენ.

ამიტომაც საჭიროა, რომ თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და აქამად გამოუყენებელი მიწის ნაკვეთები სპეციალურ აუქციონზე ვერ გაიყიდება, გამოცხადდეს ღია აუქციონი კანონპროექტში მითითებული წესის შესაბამისად იმის გათვალისწინებით რომ, კანონპროექტიდან ამოღებული იქნას იჯარით გაცემული მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის საკითხი და, შესაბამისად, უპირატესი შესყიდვის ფორმაც. ამასთან, ღია აუქციონის ჩატარებისას ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული, რომ აუქციონში მონაწილეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

კანონპროექტში ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინება და მისი ამ სახით ამოქმედება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანად გამოყენებას და საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას.

**როზერტ ანდღულაძე,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ვახტანგ ბურკაძე,**
პეტრე ქელენტის სახელობის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გვწერენ

# როცა საჩუქარი გულსა გტკენს

## „ამ საიდუმლო გზას თევდორე მღვდელიც ვერ აღმოაჩენდა!"

**მაისში საქართველოს ტელევიზიამ რამდენჯერმე შემოგვთავაზა რეკლამა, რომ 26 მაისს, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, მკითხველი ქართულ ენაზე მიიღებდა ერთიანი საქართველოს თანამედროვე რუკას. მთელი დღეები ფიქრებში გავატარე: როგორი იქნება ეს პირველი ქართული რუკა? ჩვენ ხომ მანამდე მხოლოდ რუსული რუკები გვქონდა. ახლა კი ქართული გვექნება. განა ეს პატარა ამბავია?**

მეგობარი გეოგრაფოსებისაგან გაგონილი მქონდა, რომ ასეთი რუკა საკმაოდ ძვირი — ასი ლარი ეღირებოდა. ჩვენს პირობებში ბევრი მსურველი მას ვერ შეიძენდა, ამიტომ გავიხარე, როცა შევიტყვე, რომ მის ასლს ერთ-ერთი გაზეთი თავის მკითხველს საჩუქრად შესთავაზებდა.

დათქმულ დღეს ის გაზეთი ვიყიდე და გულისფანცქალით გავშალე — ერთი სული მქონდა, სანამ რუკას ვნახავდი. გადავავლე თვალი და... ვაი ჩემს მოსწრებას! ნეტავ სულ არ მენახა! თვალებს არ დავუჯერე. იმდენი შეუსაბამობა აღმოვაჩინე. რაც მეტს ჩავკირკიტებდი, უფრო მეტ შეცდომას ვნახულობდი.

ვუტრიალებ გაზეთში სამკეცად ჩადებულ ქაღალდს და ვერაფერს ვუგებ, ან ვინ გამოსცა, ან ვინ არიან ავტორ-შემდგენლები. ამისი მსგავსი არაფერი აწერია რუკას და არც გაზეთის რედაქცია გვეუბნება რამეს.

იგივე რუკა, მინიატურული, გაზეთის პირველ გვერდზეც დაუბეჭდავთ. მაგრამ აქ ტოპონიმების ამოკითხვა შეუძლებელია. სამაგიეროდ „რუკის" ზემოთ მსხვილი ასოებით წერია: „...გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს და გჩუქნით ერთიანი საქართველოს თანამედროვე რუკას". არა, ვერ დავიჯერებ (არ მინდა, დავიჯერო!), რომ ეს ფარატინა ქაღალდი ერთიანი საქართველოს თანამედროვე რუკაა. ამ „რუკას" მინაწერი აქვს: „თუ საქართველოს ამ რუკაზე თქვენს პატარა მამულ-დედულს, დაბას ან სოფელს ვერ მიაგნებთ, საკუთარი ხელით შეგიძლიათ დაიტანოთ თქვენთვის სასურველი ნიშნით". მეტად უცნაური რჩევაა. ოღონდ არ ვიცი, ვის ეკუთვნის იგი, ავტორ-შემდგენელს თუ რედაქციას. ე. ი. მე თუ მინდა, რუკაზე დავიტანო სამოთხკომლიანი სოფელი, ვთქვათ, „მოსაცური" ან რვა-ათკომლიანი „დედისფერული"... უფლება მაქვს ჩემი სასურველი ნიშნით აღვნიშნო? მაგრამ, ბატონებო, ეს ხომ აბსურდია?! რას ჰქვია „საკუთარი ხელით შეგიძლიათ დაიტანოთ თქვენი სასურველი ნიშნით?" გეოგრაფიის გაკვეთილზე მეხუთე კლასის მოსწავლეები კონტურულ რუკებს ვადგენთ თუ რა არის? ეს ხომ ერთიანი საქართველოს რუკაა და აქ ყველაფერი ზუსტად უნდა ეწეროს! ტოპონიმში (გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებაში) არც გრამატიკული შეცდომა უნდა გაგვეპაროს და არც ორთოგრაფიული.

რედაქცია აშკარად ხვდება ამ „რუკის" არასრულყოფილებას და, ეტყობა, ამიტომაც წმენდს ნამუსს მის შემდგენლებს. მართლაც და, რატომ არ უნდა იყოს რუკაზე დატანილი ისეთი სოფლების სახელწოდებები, როგორიც პატარძეული, ნინოწმინდა, გიორგიწმინდაა?... ნუთუ საგარეჯოს რაიონში მარტო კრასნოგორსკი და იორმუღანლოა? ანდა ჯავახეთის ოკამი ნაკლები რითია გორელოვკაზე, რომ მისი ადგილი არ აღმოჩნდა რუკაზე? კაჭრეთი გასული საუკუნის სამოციან წლებამდე რაიონული ცენტრი იყო, ნუთუ ახლა ისე დაკნინდა, რომ ერთიან საქართველოს რუკაზე არ ღირდა მისი აღნიშვნა? შილდა, მარტყოფი... ისტორიული წარსულით ლამის მცხეთას უტოლდებიან. მოსახლეობით ხომ თითოეული მათგანი ბევრ რაიონულ ცენტრზე ორჯერ და სამჯერაც მეტია. იმად არ ღირდა, რომ ეს ტოპონიმები რუკაზე დაეტანათ? ამ დროს კი არარსებული ობიექტის სახელწოდება „მირზაანი" ისეთი მსხვილი ასოებით წერია, რომ მკითხველი უეჭველად იფიქრებს, აქაური მოსახლეობა ათიათასზე მეტი იქნებაო. ბევრს (მათ შორის, ალბათ, რუკის შემდგენლებსაც) „მირზაანი" ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიური სოფელი ეგონება. სამწუხაროდ კი ის გახლავთ, რომ ამ „რუკაზე" ვერც ზემო მაჩხაანს (რომელ საკრებულოშიც შედის დიდი მხატვრის მშობლიური სოფელი მირზაანი) ვერ იპოვით. იმ „მირზაანში" კი, ასე მსხვილი ასოებით რომ დაუტანიათ „რუკაზე", გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ტოპონიმია აღვწერე, სულ სამიოთხი სახლი-ბარაკი იდგა, თუმცა, მაშინაც იქ აღარავინ ცხოვრობდა. აი, რა არის რუკაზე დატანილი!

გაზეთის მეთორმეტე გვერდზე წერილ-ინტერვიუს ასეთი სათაური აქვს წამძღვარებული: „ენა — სამშობლოა, რომელიც გვესმის, რუკა — სამშობლოა, რომელსაც ვხედავთ"... კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რატომ არ ეთანხმება გაზეთში ჩართულ „რუკაზე" სიტყვა და საქმე ერთმანეთს? განა რასაც ამ „რუკაზე" ვხედავთ, ყველაფერი ასე ისმის? განა ჯიმითელები ან ჭანდრელები ამ სოფლებს „ჯამითსა" და „ჯანდარას" უწოდებენ?

ჯავახეთში მდებარე ტბებს თუ „ხანჯალი" და „მადა" ჰქვია, მაშ საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიულ ლექსიკონში (თბ. 1987 წ.) რატომ წერია „ხანჩალი" და „მადათაფა"? ვის დავუჯეროთ, ამ „რუკას" თუ ორთოგრაფიულ ლექსიკონს?

ან კიდევ, რომ გვემოძღვრავთ, თქვენი „მამულ-დედული" თქვენ თვითონ საკუთარი ხელით დაიტანეთო, რა ქნას იმ ხალხმა, ვინც გურჯაანიდან წნორამდე ცხოვრობს, სად „დაიტანოს" თავისი „მამულ-დედული", როცა კახეთის რკინიგზის მონაკვეთი — გურჯაანი-წნორისწყალი უკვე აგიყრიათ! ერთხანს ესეც კი გავიფიქრე. ნეტავი ეს რკინიგზა უკვე ჯართად ხომ არ გაიტანეს-მეთქი თურქეთში? ისე კი, მკითხველო, თუ ამ რუკას დავუჯერებთ, ჯიმითიდან ჭანდრამდე (ამათი ორთოგრაფიით: ჯამითიდან ჯანდარამდე!) სამანქანო გზაც გაუყვანიათ. ისე, რომ ბარჯისხევზე შემოვლა აღარცაა საჭირო, ეს გზა პირდაპირ ცივგომბორზე გადადის! არა, ღმერთმანი, ამ საიდუმლო გზას თევდორე მღვდელიც ვერ აღმოაჩენდა!

ეს კიდევ არაფერი. პატივცემულო მკითხველო, „რუკაზე" ისეთი ტოპონიმებიც დაუტანიათ, რომლებზეც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში თვით კომუნისტებმა თქვეს უარი. მაგალითი გნებავთ? ახლავე დაგისახელებთ!

გარდაბნის რაიონში, აზერბაიჯანის საზღვართან დიდი ასოებით წერია „ახალი ულიანოვკა", არადა, ასეთი ტოპონიმი სინამდვილეში არ არსებობს. ახლა რა ვქნათ, ვიცინოთ თუ ვიტიროთ? განა რუკის შემდგენელმა არ უნდა იცოდეს, რომელ ობიექტს როდის და როგორ შეეცვალა სახელი? თანაც ეს ხომ გუშინდელი ამბავი არ არის?! ასეთი ტოპონიმი ამ რაიონში თოთხმეტ-თხუთმეტი წელი მაინც იქნება, აღარ არსებობს. ამ სოფელს ახლა ვახტანგისი ეწოდება! ან იქნებ არ მოგწონთ დიდი მეფე ვახტანგის სახელი?

კურიოზების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია. ერთი კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რუკა ასეთი შეცდომებით არ უნდა დაიბეჭდოს!

ჩემი გულისწყრომა იმანაც გაამძაფრა, რომ იმ გაზეთის 30 ივნისის ნომერში ასეთი დითირამბები ამოვიკითხე: „სარაკეტო გემ „თბილისის" გემბანს ათობით ქვეყნის სამხედრო მეზღვაური თუ ჟურნალისტი ესტუმრა, რომლებმაც რამდენიმე საათში ბევრად მეტი სწორი ინფორმაცია გაიგეს საქართველოს შესახებ, ვიდრე აქამდე იცოდნენ. ამაში ტრადიციული ღვინის გარდა, კაიუტაში გამოკრული ის რუკაც ეხმარებოდათ, რომელიც ცოტა ხნის წინ მკითხველმა მიიღო".

ახლა ხომ ხვდებით, ჩემო მკითხველო, რა „სწორი" ინფორმაცია მიუღიათ ამ რუკის მეშვეობით ათობით უცხო ქვეყნის სამხედრო მეზღვაურებსა და ჟურნალისტებს?

როდესაც ჩემი პროტესტი წერილობით ჩამოვაყალიბე და გაზეთის რედაქციას შევთავაზე, კი დამეთანხმნენ, მაგრამ წერილის დაბეჭდვას საშველი არ დააყენეს. აი, ამიტომაც მივმართე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას".

ნათქვამია, ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო. მაგრამ თუ ის ცხენი თავზედ გაწყევლინებს, უმჯობესია, პატრონს უკან დაუბრუნო...

**უშანგ სახლთხუციშვილი,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

გვიპასუხებენ

# „რაღა ჩვენ მოგვადექით(?!)"

**ამ სათაურით გამოქვეყნებული ჟურნალისტ ოთარ ხუციშვილის კრიტიკული წერილი („საქართველოს რესპუბლიკა", 13 ივლისი, 2003 წ.) შეეხებოდა გლდანი-ნაძალადევის რაიონში გარევაჭრობასა და, საერთოდ, ვაჭრობის ობიექტებში არსებულ დარღვევებსა და დამახინჯებებს, რასაც ოპერატიულად გამოეხმაურა დასახელებული რაიონის გამგეობა (ადრე დასტამბულ მსგავს წერილებში დედაქალაქის სხვა რაიონების სავაჭრო ობიექტები და ბაზრობებიც იყო მოხსენიებული, მაგრამ, მათ რატომღაც დუმილი ამჯობინეს), რომელსაც დღეს გთავაზობთ.**

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა, კერძოდ, რედაქციას სწერს: ის, რომ დედაქალაქში ხშირია მალფუჭებადი და ვადაგასული კვების პროდუქტებით ვაჭრობა და თანაც სანიტარიული ნორმების დაუცველად, არავისთვის უცხო ხილი არ გახლავთ. ვერც გარევაჭრობის პრობლემების საბოლოო მოგვარებით დავიკვეხნით. თუმცა, ეს პრობლემები მთლიანად დედაქალაქის მასშტაბით არის მო-



საგვარებელი და მარტო ერთი რაიონი ვერაფერს გახდება.

წერილში ნათქვამია, რომ მეტრო სარაჯიშვილის წინ მართალია, ჯიხურები აიღეს, მაგრამ „გამოთავისუფლებულ ფართობზე მეორე დღესვე დასხდნენ მოვაჭრენი და ბაზრობა გააჩაღეს". ეს მთლად ასე არ არის. ფაქტი ის გახლავთ, რომ რაიონის გამგეობამ და ქალაქის შესაბამისმა სამსახურებმა დასახელებული ტერიტორიიდან აიღეს 70 ჯიხური, გაწმინდეს და გაასუფთავეს მეტროს შემოგარენი, ისინი კი, ვინც აქ ვაჭრობდნენ, შეიყვანეს იქვე არსებულ ბაზარში. დღეისთვის იქ მხოლოდ ნაყინით და გამაგრილებელი წყლებით ვაჭრობენ. ქუჩაში ათამდე გარემოვაჭრეა დარჩენილი, მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა ისინი ბაზარში უმტკივნეულოდ შევიდნენ.

წერილში აღწერილია სადგურ „ვაგზლის მოედანთან" გადასასვლელ ხიდზე არსებული ვითარება, სადაც მალფუჭებადი პროდუქტები ტემპერატურული რეჟიმის დაუცველად, ზაფხულის სიცხეში იყიდება, ვეთანხმებით ჟურნალისტს, რომ იქ მდგომარეობა, მართლაც, შემაშფოთებელია, მაგრამ პრობლემის მოგვარება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, რადგან ხსენებული ხიდი შპს „საქართველოს რკინიგზის" ბალანსზეა და 10 წლით გაქირავებული აქვს მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ხსნის ფონდ „მრევლის" თავმჯდომარე ზურაბ მამულაშვილზე. ამდენად, ხიდზე არსებული ქაოსური ვაჭრობის აღკვეთა ან მოწესრიგება დამქირავებლის უშუალო კომპეტენციაა და პრეტენზიებიც მას უნდა წავუყენოთ.

სტატიაში ისიც არის აღნიშნული, რომ მუხიანის პირველი მიკრორაიონის № 16 კორპუსსა და ნონეშვილის ქ. № 17-ში განთავსებულ სუპერმარკეტებში ვადაგასული, ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტებით ვაჭრობენ. ამის თაობაზე გამგეობაშიც შემოდის მომხმარებელთა განცხადებები, სადაც მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ პროდუქტების უხარისხობის გამო. ამასთან დაკავშირებით, გამგეობამ წერილით მიმართა „საქსტანდარტს" — ვაჭრობის ობიექტებში ვადაგასული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით მოვითხოვდით ერთობლივი რეიდის ჩატარებას, მაგრამ იქიდან პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. გამგეობას კი საკუთარი ძალებით ამ პრობლემის მოგვარება ხელარეწიფება.

საკუთარი ძალებით რაც შეგვეძლო, სხვაც გავაკეთეთ. მაგალითად, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიიდან ავიღეთ 30 ჯიხური, გაიწმინდა მეტროდან ამოსასვლელი მოედანი, სადაც ამჟამად მხოლოდ საკანცელარიო ნივთებით და გაზეთებითღა ვაჭრობენ. ამავე მეტროს პირდაპირ, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან, ქაოსურად ვაჭრობდა 200-მდე გარემოვაჭრე, რომლებიც ახლადგახსნილ გადახურულ ბაზარში შევიყვანეთ. გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით რეგულარულად ტარდება ერთობლივი რეიდები, რომელშიც გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია, შს სამმართველო და ეკოპოლიცია მონაწილეობენ. ამ მიმართებით მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

**ირაკლი ძორიძე,**
გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

70 წელი

# ევგენი ევტუშენკო: მაიაკოვსკის იუბილეზე ბაღდათში ჩამოსვლა დიდი პატივია ჩემთვის

(პირველი გვერდიდან)

თუ ჩვენს თაობაზე – სამოციანელთა თაობაზე ვილაპარაკებთ, საქართველოსადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსები აქვთ აგრეთვე ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინას. ბულატ ოკუჯავაც ხომ წარმოშობით ქართველი იყო:

Виноградную косточку в теплую землю зарою...

რუსთაგან ახლა ვინ არ იცნობს ამ პოეზიას. ესე იგი, ეს ტრადიცია იყო. არადა, მაშინ, სხვათა შორის, სტალინური ხანა იყო...

ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ შევარდნაძე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ კომკავშირის მდივანი იყო, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს 1954 წელს იყო, აწყობდა ჩემს პირველ გამოსვლებს საქართველოში. არსებობდა ასეთი ქართული ლიტერატურის საბჭო, რომელსაც დიდხანს კონსტანტინე სიმონოვი მეთაურობდა. მერე კი, მისი გარდაცვალების შემდეგ, მე მხვდა წილად ასეთი დიდი პატივი, მე ვმეთაურობდი ამ საბჭოს. ჩამოდიოდნენ ქართველი პოეტები, ვაწყობდი მათ გამოსვლებს აქ. და არა მარტო მოსკოვში. სწორედ იმ ხანებში საქართველოში ჩვენს პოეტებს მასპინძლობდნენ როგორც უაღრესად სასურველ სტუმრებს. როცა წიგნებს არ გვიბეჭდავდნენ, როცა ანაბეჭდებს შლიდნენ, საქართველოში გამოდიოდა ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინასა და ჩემი წიგნები. ეს ყოველთვის მუდამ ურთიერთმხარდაჭერა იყო.

ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის თენგიზ აბულაძის შესანიშნავი ფილმის „მონანიების“ ამბავი. [illegible] სებსო. ედუარდ შევარდნაძემ ზუსტად გათვალა ყველაფერი – ფილმი საქართველოში აჩვენეს* და არავითარი სკანდალი ამას არ მოჰყოლია. ესე იგი, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ეს არ მოსწონდათ, მაგრამ სკანდალი არ მომხდარა. ხოლო მოსკოვში არ უნდოდათ – ჩვენს რუს თანამემამულე სტალინელებს – მისი ჩვენება.** ედუარდ ამბროსის ძეს კი ძალიან სურდა, რათა ფილმს ჩვენამდე მაინც მოეღწია..

სხვათა შორის, იგი ვნახე ცხოვრების სხვადასხვა მომენტებში – ძალიან მძიმე ცხოვრების მომენტებში. ახლაც მას ვხედავ ძალიან მძიმე სიტუაციაში. ახლაც ცდილობენ შეთხზან ლეგენდა, თითქოს იგი ანტირუსი, პროამერიკელი კაცი იყოს. ეს წმინდა წყლის სისულელეა. იგი ის კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს რუსი ხალხი, რუსული ლიტერატურა. ბევრი რამეც გააკეთა, როცა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. მას მძიმე მემკვიდრეობა ერგო გამსახურდიას შემდეგ. იგი აფხაზეთის საკითხში მოატყუეს. ამაში ჩვენი ზოგიერთი გენერალი მონაწილეობდა, რომლებმაც შეპირებული აგარაკებისათვის ეს კონფლიქტი გააჩაღეს. მახსოვს, საუბედუროდ, ჩვენგან გაგზავნილი ქვემეხების მიერ გასროლილი ჭურვები როგორ აღწევდა სოხუმამდე. ყველაფერი ეს ჩემი თვალით ვნახე, მაშინ აფხაზეთში ვცხოვრობდი, იქ სახლი მქონდა, და ეს ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იყო.

ვიცოდი, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის გარკვეული წინააღმდეგობანი არსებობდა, მაგრამ ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდა, ერთმანეთთან სტუმრობდა დაბადების დღეებში, ქორწილებში. საერთოდ, ნორმალურად ცხოვრობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთშიც და საქართველოშიც გამოჩნდნენ ექსტრემისტები, ნაციონალისტები, მე ვიტყოდი, პოლიტიკური გარეწრები, რომლებიც არც აფხაზეთის, არც საქართველოს მომავალზე არ ფიქრობდნენ და შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიიყვანეს ორი ხალხის ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ ჩვენს მხარესაც აქვს გარკვეული წვლილი შეტანილი... ესე იგი, თითქოს არ მონაწილეობდა, მაგრამ, სინამდვილეში „უჩუმრად“ მონაწილეობდა.

ძალიან მიყვარს აფხაზებიც და ქართველებიც – ერთნიც და მეორენიც ჩემთვის ძმები არიან. მითარგმნია როგორც აფხაზი, ისე ქართველი პოეტები. იქაც და აქაც მეგობრები გვყავს. და როცა მათ ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმე- [illegible]





ინფორმაცია თემაში

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს 2003 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით, გამოჩენილ რუს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველი ხალხის დიდ მეგობარს, ქართული პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელსა და პოპულარიზატორს, ღირსების ორდენოსანს ევგენი ალექსანდრეს ძე ევტუშენკოს მიენიჭა ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემია.

## ჩვენო ძვირფასო ევგენი!

სულითა და გულით გილოცავთ შესანიშნავ 70 წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიას, ახალ შედევრებს, ბედნიერებას, სიხარულს, მშვიდობას...

დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენი ცხოვრების ამ შესანიშნავ დღეს კვლავ საქართველოში ხართ, სადაც უყვარხართ თქვენ და უყვართ თქვენი შემოქმედება.

თქვენი ძველი ერთგული მეგობრების სახელით

ხუტა ბერულავა.

[illegible] ღებული გარეწრები, რომლებსაც ვერსაჩეს პიჯაკები ეცვათ. პრაქტიკულად, ყველა დასასვენებელი სახლი, ბიჭვინთის გარდა, მთელ გზაზე დანგრეული იყო. არადა, ეს დასასვენებელი სახლები საბჭოთა, საერთო საკუთრება იყო. ეს დიდი ტრაგედიაა. და მიმაჩნია, რომ ჩვენს პოლიტიკაში კავკასიის მიმართ ჩვენი ოფიციალური განზრახვა სულაც არ არის გამჭვირვალე. არადა, ეს გამჭვირვალე უნდა გავხადოთ – რა გვინდა, რა უნდა გავაკეთოთ. მაშინ სიტუაცია ამიერკავკასიაში მოწესრიგდება.

რატომ ვარ ასე ბედნიერი ახლა, რომ საქართველოში მივფრინავ – იმიტომ, რომ ეს უდიდესი პატივია ჩემთვის, იმიტომ, რომ მაიაკოვსკი, ცინიკოსთა, ვიქტორ ეროფეევის ტიპის ანტისამოციანელთა ყველა განცხადების მიუხედავად, რომლებიც მაიაკოვსკის „ბოლშევიკთა ლაქიას“ უწოდებდნენ, და სხვა ბილწი ტერმინებით ამკობდნენ, დიდი პოეტია. აი, თუნდაც, ავიღოთ მისი „ღრუბელი შარვალში“. იგი პეტრარკასა და დანტეს დონეზეა, ჩემი თვალსაზრისით. იგი მუდამ იყო ჩემი საყვარელი პოეტი. ეს როდი ნიშნავს, რომ მას კრიტიკულად არ ვეკიდები, მაგრამ მაინც თაყვანს ვცემ. იგი უდიდესი პოეტია. თვით პასტერნაკი, ახმატოვა და ცვეტაევა ამას აღიარებდნენ. და, აი, ეს ქართველებს რომ ახლა თავში მოუვიდათ, ეს სულის სიღრმემდე მძრავს, შემომთავაზეს დაბადების დღე 18 ივლისი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აღმენიშნა და ჩამოვსულიყავი ბაღდათში მაიაკოვსკის იუბილეზე 19 ივლისს.

ეს შესანიშნავი ადგილია, სადაც მაიაკოვსკი უზარმაზარ ქვევრებში შეძვრებოდა ხოლმე და კითხულობდა, ავარჯიშებდა თავის ხმას, სადაც ბილიკებზე დარბოდა. გამიგეთ, ეს უდიდესი პატივია ჩემთვის, გარდა ამისა, მნიშვნელოვანიც არის, თუ ახლა ვიტყვით იმას, რის თქმაც ვერ მოგვიხერხებია, ჩვენს პოლიტიკოსებს ვერ გამოუძებნიათ სრული ურთიერთგაგება.

აი, სხვათა შორის, ქართველებს ახლა ბრალად სდებენ, რომ მათ ნატოში შესვლა უნდათ. მაგრამ, მაპატიეთ, და თავად ჩემი ყურით მოვისმინე, ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინმა როგორ თქვა, ჩვენც მომავალში არ ვიქნებით იმის წინააღმდეგი, ნატოს რომ შევუერთდეთო. არ მესმის, თუკი ჩვენი ქვეყანა ასეთ განცხადებებს აკეთებს, რატომ იწვევს იმავდროულად ჩვენი ნაციონალისტების ასეთ გააფთრებას საქართველოს მხარის იგივე განცხადება. სხვათა შორის, შევარდნაძემ – მას ორი წლის წინათ შევხვდი უკანასკნელად, ჩვენ ძველი მეგობრები ვართ – უბრალოდ მითხრა: „იცით, რამდენჯერ შემპირდა ელცინი, რომ აფხაზეთის პრობლემას გადაწყვეტდა? ეს არის დღევანდელი ნერვიულობის თავიდათავი. და, როცა მე მატყუებდნენ, მატყუებდნენ, მატყუებდნენ ამდენჯერ ასეთ მაღალ დონეზე, რა უნდა მექნა? უნდა მტკიცედ დავმდგარიყავი, სხვა გზა მეძებნა“. ეს ყველაფერი სრულიად გულწრფელად მითხრა.

სწორედ ამიტომაც ვანიჭებ ამ სტუმრობას უდიდეს მნიშვნელობას, ვამყარებ იმედს, რომ, იქნებ, ეს იყოს მცირე [illegible] ვიყავი, მხოლოდ ერთი სოფლის – ხვანჭკარის გარდა“. ეს სიმართლეა. ჯერ კიდევ სტალინის დროიდან ამ შესანიშნავ ღვინოს ვსვამდი, მაგრამ ახლა მისი გემოც კი დამავიწყდა, რადგან ბევრი ფალსიფიცირებული „ხვანჭკარაა“. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელი ტერიტორია პეტერბურგიდან შორეულ აღმოსავლეთამდე ლამის წალეკოს „ხვანჭკარამ“, მაშინ, როცა პრაქტიკულად ეს არის ერთი მხარის ერთი ფერდობი. მან გაიღიმა და მითხრა: „რა თქმა უნდა, გაემგზავრე“. და მეც ჩავედი. იქ ასვლას ჩემს ქართველ მეგობრებთან დიდხანს მოვუნდით. და როცა წასახემსებლად ან სხვა რაღაცისთვის ვჩერდებოდით, ხალხი ვერა გვცნობდა... არა, ზოგიერთმა მიცნო, ზოგიერთმა – ვერა. ისინი უბრალოდ, როცა რუსულს გაიგონებდნენ, ჩვენთან მოდიოდნენ. ისინი ამბობდნენ: ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ, როგორ მოგვენატრა რუსული ენა, რა ცოტანიღა ჩამოდიან რუსები ჩვენთან. რაღაც გაუგებრობა წარმოიშვა ჩვენ შორის. და არა იმიტომ, რომ მე ევტუშენკო ვიყავი, არამედ უბრალოდ, სულ სხვადასხვა პროფესიების ადამიანები – ინჟინრები, გლეხები – მეხვეოდნენ და გულთბილ სიტყვებს მეუბნებოდნენ. სევდა ამ სულიერი ერთობის გამო და იმის შიში, რომ ჩვენი ურთიერთობა საბოლოოდ გაწყდება, ძალიან ძლიერად არის ფესვგადგმული საქართველოში.

ასეა ჩვენს შემთხვევაშიც,– ჰკითხეთ ვისაც გნებავთ კულტურულ ადამიანთაგან, ვინც ოდნავ მაინც იცის ჩვენი ურთიერთობის ისტორია, და ამას დაგიდასტურებთ. და, რა თქმა უნდა, ეს ორივესათვის დამახასიათებელია. მიმაჩნია, რომ, იქნებ, ეს ღონისძიება, სწორედ ეს დაგვეხმარება კვლავ გავიხსენოთ, თუ რაოდენ აურაცხელი სიმდიდრე შეუქმნია ჩვენი ხალხების მეგობრობას და რომ მისი გაყოფა შეუძლებელია. თუ ჩვენ გავთითოვდებით, თუ დავივიწყებთ ერთმანეთს – ეს საშინელება იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც.

**– თქვენი დაბადების დღეებიდან ყველაზე სამახსოვრო რომელია?**

– ჩემი ყველაზე ღირსსახსოვარი დაბადების დღე ეს იქნება. იქნება, სერიოზულად ვამბობ, არასოდეს არ მოუძღვნიათ ჩემთვის დაბადების დღეზე ისეთი საჩუქარი, როგორიც არის ბაღდათში მოწვევა მაიაკოვსკის დაბადების დღეების აღსანიშნავად. სხვათა შორის, თავად არც კი მიფიქრია, რომ ვინმეს ეს გაახსენდებოდა. ეს პიდაპირ საოცარია.

როცა ჩემმა მეგობრებმა საქართველოში გამოიანგარიშეს, თურმე, მითარგმნია ქართველ პოეტთა ოცი ათასი ბწკარი. იქ იყო შესანიშნავი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რომელშიც, სხვათა შორის, ვნახე ანა ანტონოვსკაიას წიგნი „დიდი მოურავი“. ეს წიგნი ეკუთვნოდა ჯარისკაცს, ფრონტზე რომ მიდიოდა, ამ წიგნს კითხულობდა. ეტყობა, მატარებელს ტყვია დაუშინეს. და ერთი ტყვია გაჩხერილიყო ამ წიგნში, რუსი მწერალი ქალის წიგნში, რომელიც შესანიშნავი ქართველი მხედართმთავრის გმირობას უმღეროდა. და როცა ეს წიგნი, რუსული წიგნი ვნახე, რომელმაც ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნა, ამაზე ლექსი დავწერე.

მე ვმეგობრობდი ლადო გუდიაშვილთან, დიდ მხატვართან. როცა, ჯერ კიდევ 1955 წელს, ლა- [illegible] ლია ეროვნული კულტურით და, ამავე დროს, შეისისხლხორცებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიოში ყოფილა და ავრცელებს თავის სიყვარულს არა მარტო თავის საკუთარ ქვეყანაში, არამედ ყველგან. აი ისეთი, როგორიც ეს პუშკინში იყო.

აი, პუშკინი, სხვათა შორის, მომავალი ადამიანის საუკეთესო მოდელია იმიტომ, რომ პუშკინი იმავდროულად იყო სლავიანოფილიც და დასავლეთის მიმდევარიც. მან აიღო ყოველივე საუკეთესო, რაც დასავლურ კულტურას ჰქონდა.

**– ევგენი ალექსანდრეს ძევ, თქვენ მუხრან მაჭავარიანზე ლაპარაკობდით...**

– მუხრანი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. იგი რედაქტორობდა ისეთსავე საყმაწვილო ჟურნალს, როგორიც ჩვენი „კოსტიორია“. პოეტს უჭირდა მხოლოდ თავისი ლექსებით ცხოვრება. მის დათხოვნას აპირებდნენ. ჩემს ქართველ მეგობრებს შევეკითხე, მისი გადარჩენა ვის შეუძლიამეთქი. უკვე თითქმის ხელმოწერილი იყო ბრძანება მუხრანის დათხოვნის შესახებ. ასეთი რამ მითხრეს: იქნებ, ისეთი სასწაული შეძლო, რომ „პრავდაში“ მისი ლექსები დაბეჭდონო...

და, აი მაშინ მუხრან მაჭავარიანის მაგივრად შევთხზე ერთი ლექსი, იმიტომ, რომ მას საყვედურობდნენ, პარტიაზე არც ერთი სტრიქონი არ დაგიწერიაო. მის მაგივრად დავწერე – რა თქმა უნდა, მისი ნებართვით. ხალისიანად დავწერე...

О партии я в первие
пишу,
Я медленно пишу,
я не спешу...

და ასე შემდეგ. ასეთი ხალისიანი და არცთუ ცუდი ლექსი. ეს დაბეჭდეს „პრავდაში“ და იგი აღარც შეუწუხებიათ.

ერთი სიტყვით, ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ, ჩვენ მათ. ეს იყო ძვირფასი ურთიერთობანი. ახლა კი ერთმანეთს ვკარგავთ. ცოტასღა ვთარგმნით. მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ“. მაგრამ ტირაჟი სამარცხვინოდ მცირეა.

მე საერთოდ მიყვარს ადამიანები. მე რუსი კაცი ვარ, მაგრამ კაცობრიობა ჩემი სამშობლოა.

პუბლიკაცია მოამზადა
საქინფორმმა.

* ფილმი - როგორც საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის ნამუშევარი პირველმა არხმა აჩვენა. რედ.

** საინტერესო დეტალია: როცა „მონანიების“ სცენარს გასცნობია სკკპ ცკ გენერალური მდივანი ანდროპოვი, სახტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარისთვის ლაპინისთვის უთქვამს: – ჩვენს ხალხს ძლივს დავავიწყეთ 37 წელი და გახსენება არ არის საჭირო. რედ.

- ერაყში შექმნილი ვითარების შესახებ
- „საგზაო რუკის“ განხორციელების ფარგლებში
- მეცნიერის გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია

# ბაღდადიდან ჩრდილოეთით გაანადგურეს ამერიკელთა შვიდი ჯავშანმანქანა

**ერთბაშად შვიდი ამერიკული ჯავშანმანქანა ააფეთქეს პარასკევს საღამოს ერაყის დიალის პროვინციაში, იტყობინებოდა კატარის „ალ-ჯაზირას“ თანამგზავრული ტელეარხი. ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს შორის არიან მოკლულები და დაჭრილები.**

თავდასხმა მოხდა ქალაქ ელ-მიქდადიის მიდამოებში, რომელიც ბაღდადიდან ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ შეიარაღებული ინციდენტის ადგილზე ცენტრალურმა სარდლობამ გაგზავნა ვერტმფრენები.

იტყობინებიან, აგრეთვე, რომ დაიღუპა 4 მოთარეშე, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, ელ-მიქდადიის მცხოვრებლები იყვნენ. ინციდენტის შესახებ სხვა დაწვრილებითი დეტალები ტელეარხს არ გადაუცია.

გარდა ამისა, ერაყელ მოთარეშეებთან პარასკევ საღამოს მომხდარი შეტაკების დროს კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ეს განაცხადა ბაღდადში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, თუმცა არ დაუზუსტებია, თუ სად და რა ვითარებაში მოხდა ინციდენტი. ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, უკავშირდება თუ არა ეს მოვლენა ერაყის დიალის პროვინციაში მომხდარ შეტაკებას.

პარასკევის ტრადიციული ლოცვის შემდეგ, ერაყის ქალაქებს გადაუარა საპროტესტო მანიფესტაციების მძლავრმა ტალღამ. მანიფესტანტები მოითხოვდნენ უცხოელთა მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ბაღდადსა და ქუფში მანიფესტანტებმა განაცხადეს, რომ არ ცნობენ კანონიერად ამერიკის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ ერაყის გარდამავალ მმართველ საბჭოს.

* * *

**ექსპერტთა ჯგუფმა, რომლებიც ერაყში გაგზავნეს ქვეყნის აღდგენის მასშტაბის განსაზღვრისათვის, გამოიტანა დასკვნა, რომ სულ უფრო სწრაფად კლებულობს ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლებლობა მიაღწიოს ერაყში სტაბილურობისა და მართლწესრიგის დამყარებას, იტყობინებოდა „ბი-ბი-სის“ სააგენტო. ექსპერტებმა წარმოადგინეს მოხსენება, რომელშიც მოუწოდებენ ბუშის ადმინისტრაციას შეიპიროს მეტი საერთაშორისო მხარდაჭერა ერაყის რეკონსტრუქციის პროცესში.**

პენტაგონის მიერ ერაყში გაგზავნილ ექსპერტთა ჯგუფმა ქვეყანაში თითქმის ორი კვირა დაჰყო. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი ჯონ ჰამრი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის მეტად ავტორიტეტულ ცენტრს.

ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მომდევნო სამ თვეს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ერაყში უსაფრთხო ცხოვრების პირობების დამყარებისათვის. მოხსენების ავტორები მოუწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ გადაუხვიოს არჩეული გზიდან. ისინი გამოთქვამენ რეკომენდაციებს ერაყში აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების მრავალჯერადი გადიდების, აგრეთვე, ქვეყანაში ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო უფრო მეტი სპეციალისტის გაგზავნის შესახებ.





* * *

**თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა საგანგებო მონაცემები, რომელთა თანახმადაც ერაყი ცდილობდა მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებას. როგორც პარასკევ საღამოს იტყობინებოდა „ფოქს ნიუსის“ ტელეარხი, ეს მასალები შეადგინეს 2002 წლის ოქტომბერში ამერიკის ექვსი სადაზვერვო სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით. მოხსენებას ეწოდება „ერაყში გრძელდება მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის პროგრამის განხორციელება“.**

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ბაღდადმა, შესაძლოა „უახლოესი ათი წლის მანძილზე შეიმუშაოს მასობრივი განადგურების იარაღი“. ეს მონაცემები, კერძოდ, გამოიყენეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ 2003 წლის 28 იანვარს წარმოთქმული სიტყვის მომზადების დროს.

ბუში თავის სიტყვაში იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ერაყი ცდილობდა შეესყიდა ურანი ნიგერიაში. თეთრი სახლის ადმინისტრაცია წინათ აღნიშნავდა, რომ ასეთი განცხადება გაკეთდა ბრიტანეთის დაზვერვისაგან მიღებული შეუმოწმებელი მონაცემების საფუძველზე.

მაგრამ, ხუთშაბათს ვაშინგტონში ჯორჯ ბუშთან გამართული ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა დაიცვა ეს მონაცემები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწამს მათი საიმედოობის.

* * *

**პარასკევს გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის და გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც მხარეებმა განიხილეს გაეროს უშიშროების საბჭოს 22 ივლისისათვის დანიშნული სხდომის მომზადების საკითხი. როგორც ცნობილია, სხდომაზე გათვალისწინებულია განიხილონ ერაყის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მიერ მომზადებული მოხსენება.**

კოფი ანანის ამ მოხსენებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსკოვის აზრით, უნდა გაიზარდოს ერაყში ვითარების მოწესრიგების საკითხში გაეროს მონაწილეობის მასშტაბი. მოსკოვში გამოთქვამენ იმედს, რომ გაეროს გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენლები „სხდომაზე არა მარტო გამოიტანენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არამედ გამოთქვამენ კიდეც რეკომენდაციებს ერაყში ვითარების მოწესრიგების საკითხში გაეროს კონკრეტული მონაწილეობის გაძლიერების თაობაზე“. საქმე შეიძლება ეხებოდეს გაეროს მანდატის დამატებითი ფუნქციებით აღჭურვას, აგრეთვე, სპეციალური წარმომადგენლის სტატუსის ამაღლებას, – განმარტა იაკოვენკომ. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა საჭირო გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციების მიღება, დასძინა დიპლომატმა.

## ისრაელი მზად არის გაათავისუფლოს 60 პალესტინელი ექსტრემისტი



**ისრაელი მზად არის საპყრობილეებიდან გაათავისუფლოს პალესტინელთა ექსტრემისტული დაჯგუფებების „ისლამის ჯიჰადის“ და „ჰამასის“ 40-60 წევრი. თუმცა, როგორც ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, გაათავისუფლებენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ტერორისტული აქტების ორგანიზებასა და განხორციელებაში.**

როგორც ვარაუდობენ, სამშვიდობო გეგმის – „საგზაო რუკის“ განხორციელების პროცესში პროგრესის მიღწევის მიზნით, ისრაელი უახლოესი მომავლისათვის 400-მდე პალესტინელის გათავისუფლებას აპირებს. სულ კი, სხვადასხვა შეფასებით, ისრაელის საპყრობილეებში ამჟამად 5-6 ათასი პალესტინელი იმყოფება.

ისრაელისა და პალესტინელთა წყაროების თანახმად, კვირას გაიმართება პრემიერ-მინისტრების არიელ შარონისა და მაჰმუდ აბასის ახალი შეხვედრა. შეგახსენებთ, რომ ივლისის ბოლო დეკადაში ისინი (მართალია სხვადასხვა დროს) ეწვევიან ამერიკის შეერთებულ შტატებს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან შესახვედრად.

## სარკინიგზო კატასტროფა იაპონიაში



**დაახლოებით 60 კაცი დაშავდა იაპონიის კიუსიუს კუნძულზე ელექტრომატარებლის ავარიის შედეგად. ინციდენტი მოხდა ქალაქ ისაჰაის მახლობლად (ნაგასაკის პრეფექტურა) ქალაქებს ნაგასაკისა და ჰაკაკას შორის მონაკვეთზე.**

35 დაშავებული ჰოსპიტალში მოათავსეს, დანარჩენებს კი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ადგილზე გაუწიეს.

რელსებიდან გადავიდა ექსვაგონიანი შემადგენლობის პირველი ორი ვაგონი. შემთხვევის ადგილზე მუშაობენ სასწრაფო დახმარების ბრიგადები. შემადგენლობაში სულ 120-130 მგზავრი იყო, რომლებიც სასწრაფოდ გახიზნეს ავარიის ადგილიდან. ავარიის შედეგად სარკინიგზო უბანზე დარღვეულია ელექტროენერგიის მიწოდება.

სარკინიგზო კომპანიას არაერთგზის განუცხადებია, რომ არსებობდა საავტომობილო გადასასვლელზე მატარებლით მანქანასთან შეჯახების საფრთხე. მაგრამ, სინამდვილეში კატასტროფის მიზეზი გახდა ქვა. მემანქანემ უკანასკნელ მომენტში შენიშნა ლიანდაგზე მრგვალი ნახევარმეტრიანი ლოდი, თუმცა, მატარებლის გაჩერება ველარ მოასწრო.

იაპონიის სახელმწიფო მიწების, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამინისტროც, თავის მხრივ, იუწყებოდა, რომ ამ სარკინიგზო ავარიის მიზეზი იყო ქვა, რომელიც ლიანდაგზე იდო.

წინასწარი მონაცემებით, ქვა, შესაძლებელია ლიანდაგზე დადებული იყო კლდის ქანების ჩამოშვავების შედეგად.

სახელმწიფო მიწების, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც გამოიძიებს ავარიის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს.

## ტონი ბლერი აცხადებს, რომ უნდა შეწყდეს მითქმა-მოთქმა დევიდ კელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს ყოველგვარი მითქმა-მოთქმა მეცნიერ დევიდ კელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელმაც, როგორც ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლები ეჭვობენ, გადასცა „ბი-ბი-სის“ მონაცემები ბრიტანელი ოფიციალური პირების მიერ „ერაყის დოსიეს“ გაყალბების შესახებ. მეცნიერის გვამი იპოვეს 18 ივლისს დაბა ჰაროუდაუნ-ჰილში.**

„ჯერჯერობით ჩვენ ყველას – პოლიტიკოსებსაც და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებსაც – მეტი პატივისცემა და თავშეკავება გვმართებს“, – აღნიშნა ამჟამად იაპონიაში ვიზიტად მყოფმა ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა. ბლერმა „საშინელი ტრაგედია“ უწოდა ბრიტანული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ექსპერტის დაღუპვას.

კელი იყო თვალსაჩინო ექსპერტი მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებში და ერთ-ერთ ძირითად ფიგურად ითვლებოდა „ერაყის დოსიეს“ ირგვლივ ატეხილ სკანდალში. ბრიტანეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მიმდინარე წლის მაისში სწორედ დევიდ კელიმ გადასცა „ბი-ბი-სის“ მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც დაადანაშაულეს ოფიციალური ლონდონი ერაყის კონფლიქტში უსაფუძვლო ჩარევაში.

## ინდონეზიაში ვულკანმა სოპუტანმა გაიღვიძა



**19 ივლისს, ნაშუადღევს, ინდონეზიის სულავესის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ჰაერში აიჭრა კვამლისა და ფერფლის სვეტი. 3 წლის ძილის შემდეგ „გაიღვიძა“ ვულკანმა სოპუტანმა, რომლის სიმაღლე 2 კილომეტრს აღწევს.**

მიმდებარე სოფლების მოსახლეობა პანიკაში ტოვებს სახლებს. ვულკანური ფერფლისა და ჭვარტლის ბოლქვებმა დააბნელეს მზე და ახლა ეს ამონაფრთქვევი ილექება ქალაქ მანადოს სახლების სახურავებსა და ქუჩებში. ჩრდილოეთ სულავესის პროვინციის ეს ადმინისტრაციული ცენტრი ვულკანის ძირიდან 40 კილომეტრზე მდებარეობს. ჯერჯერობით არ გავრცელებულა რაიმე ინფორმაცია მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ.

## 37 პატიმარს გუანტანამოდან ავღანეთში გაგზავნიან

**პარასკევს ამერიკის შეერთებული შტატების გუანტანამოს სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის საპყრობილედან გაათავისუფლეს 37 პატიმარი, განაცხადა ამერიკის არმიის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.** გათავისუფლებულ პატიმრებს გაგზავნიან შინ, ავღანეთში, დასძინა მან. სამხედრო პირის თქმით, გუანტანამოს ბაზაში ახალი პატიმრები მიიყვანეს, თუმცა მათი რიცხვი „ათ კაცს არ აღემატება“. მას არ დაუზუსტებია გუანტანამოს ბაზიდან გათავისუფლებული და იქ ცოტა ხნის წინათ ჩაყვანილი პატიმრების ეროვნება. კუბის ტერიტორიაზე განლაგებულ ამ სამხედრო ბაზაში სადღეისოდ დაკავებული ჰყავთ 42 ქვეყნის მოქალაქე 680 პირი, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში არიან ეჭვმიტანილები. მათი უმრავლესობა ტყვედ აიყვანეს ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დამატება
ბავშვებისათვის
№4
2003 წლის 20 ივლისი.

# დილა მშვიდობისა

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში (ხელმძღვანელია ფაცია პაიჭაძე) ხშირად იმართება შიდაკონკურსები.
დღეს გთავაზობთ ბოლოდროინდელ კონკურსში გამარჯვებულთა შემოქმედებას.
გისურვებთ წარმატებას!
„დილა მშვიდობისა“

## ფიქრები პირველ მასწავლებელზე



მაისი მთავრდება და სასწავლო წელიც თან მიჰყვება. მივდივარ ქუჩაში ფიქრებში გართული. ვფიქრობ, ფიქრებს ვხედავ და მახსენდება პირველი სექტემბერი, შემოდგომის მზიანი დღე, ქალაქის მერის მოლოცვა, ბავშვების ჟრიამული, ხელჩაკიდებული მე და ნანა მასწავლებელი, ღიმილიანი სახით ნაჩუქარი „დედა-ენა“. სწავლის შესახებ ბევრი ამბის მოყოლა. მისი ალერსი და სიყვარული. ფიქრებმა გაიხსენეს ერთი ამბავი: ჯერ არ ვიცოდი ციფრების წერა. ერთხელ მკითხა, — დედა ხომ არ გცემსო? შემეშინდა. პასუხად ტყუილი ვთქვი. ის მიმიხვდა შიშს.

გვარიგებდა, გვასწავლიდა. კეთილისა და ბოროტის გარჩევას. ახლა ხშირად შემიძლია ნანა მასწავლებლის ნახვა, მასთან საუბარი.

ამ ფიქრებში დავინახე მეთერთმეტე კლასელები და გავიფიქრე — რა მოხდება 7 წლის შემდეგ? ამას ცხოვრება გადაწყვეტს.

## ნაძვები



ჩემს ფანჯარასთან სამი ნაძვი დგას. მათ სამკუთხედი აქვთ გაკეთებული. ნაძვები გამუდმებით ბაასობენ:

— უკვე ოცი წელია, რაც აქ ვართ, რამდენ რამეს მოვსწრებივართ. თქვა აყლაყუდა ნაძვმა.

— მე წელს უკვე მეცხრე სართულს ავწვდი და ამ სახლის ფანჯარაში ხშირად ვიხედები. წამოიძახა საშუალომ.

— მე კი პატარა ვარ, არ ვიზრდები. ნაღვლიანად თქვა მესამემ.

ღმერთმა მარადმწვანე სამოსი გვიბოძა, ზამთარში თოვლი თეთრ ქურქს გვაცმევს, გაზაფხული კი გირჩებს გვასხამს; წელიწადის დროები სხვადასხვა საჩუქრებს გვჩუქნიან. ამ საუბარში იყვნენ ნაძვები, როცა ფოსტალიონივით მოვარდა ქარი. მან რაღაც ამბავი მოიტანა. ნაძვებმა ცისკენ აიხედეს და ღმერთს მადლობა შესწირეს. ციდან ქუქუნა წვიმა წამოვიდა.

**ნატალი ანთიძე,**
შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრი, თბილისის 172-ე სკოლის IV ბ კლასის მოსწავლე.

## ლადო პაპა



— სალომე, ადექი, უკვე 11 საათია, არა გრცხვენია? — ასე იწყება ყოველი დილა ბორჯომში. მე ვდგები, ვსაუზმობ და გიორგისთან ერთად ეზოში ჩავდივარ. — წავედით? ვყვირივართ ორ ხმაში.

მესამე სართულზე, როგორც ყოველთვის, ლადო პაპა გვხვდება უცვლელი დიალოგით:

— ჰა, მოკლა პაპაშენმა დათვი? კიდევ რას აპირებს?

მე ღიმილით ვპასუხობ: დათვი, ეგ ძველი ამბავია. ახლა თითო-თითო ვეფხვი და ლომიც მიაყოლა, ერთიც სარდაფის საქმის მოსამართლე“.

ლადო პაპა ისევ იცინის, მე გზას ვაგრძელებ და ჩემთვის ვფიქრობ: „ნეტა რამდენჯერ უნდა მკითხოს?“ ჩავდივარ ეზოში და იქ ლადო პაპას შვილიშვილი — გურამი მხვდება. დიდი მასხარა ვინმეა — მარგალიტას მეძახის. დაგვინახავენ ბავშვები, ფანჯრებიდან თავიანთ ნამძინარევ თავებს გადმოჰყოფენ და დაბლა დაეშვებიან. თუ ლადო პაპა ეზოშია, გურამიც ეზოშია. თუ გურამი ეზოშია — მეც ეზოში ვარ. თუ მე და გურამი ეზოში ვართ, მაშინ ყველა ეზოშია: ნუკა, თორნიკე, გეგა, გიგა, მარინა, ალეკო, ქეთი, ნათია და დათო. მერე ვიწყებთ ჯოკერს, დამალობანას, ან ასოციაციობანას თამაშს. გვიანობამდე ვსხედვართ და ვყვებით საოცარ ამბებს, კურიოზებს, თან ძალიან, ძალიან ბევრს ვიცინით. მერე, როგორც წესი, ლადო პაპა დამიძახებს, რამის მოტანას მთხოვს, თან დააყოლებს: „ჰა, გოგო, როგორაა პაპაშენი!“

— არა უშავს, თქვენთან დამაბარა, თუ უნდა ვეფხვის ტყავს გავუგზავნიო.

— ვეფხისტყაოსანი კი არა ვარ, — მპასუხობს, — ჩვენ ვიცინით და ისევ ვაგრძელებთ გართობას.

ასე ვცხოვრობ მე ჩემს ოჯახთან და მეზობლებთან ერთად.

ერთხელ დილით ფანჯრიდან გადავიხედე და ჩემდაგასაკვირად ეზოში ველარავინ დავინახე. ამაში დასარწმუნებლად დაბლა დავეშვი და ეზო მოვათვალიერე, უკან იმედგაცრუებული ამოვბრუნდი. აღარც ლადო პაპა, აღარც გურამი, ბებოს დავეკითხე და დაუჯერებელი გავიგონე: — „ლადო პაპა გარდაიცვალა“. ჩემს ოთახში შევედი, წამოვწექი და ფიქრებში ჩავიძირე; ჩემს წინ გამხდარი მოხუცი კაცი იდგა, ვეფხვის ტყავით ხელში. მიღიმოდა და ხელს მიქნევდა. მე ვიგრძენი მასთან სიახლოვე, ვიგრძენი როგორ დაგვაახლოვა ამ დიალოგებმა და გამეღიმა, გამეღიმა შვებით.

* * *

**ადრე დაწერილ ჩემს თხზულებებს აღვიქვამ როგორც წერილს, რომელიც წარსულიდან მომწერა საკუთარმა თავმა. ვინ იცის, შეიძლება არც მომეწონოს, ან იქნებ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს. ყველა წინადადებაში ჩანს იმდროინდელი განწყობა. ახლაც ვწერ, ვწერ წერილს მომავალში და ვფიქრობ: რას იტყვის სალომე?**

* * *

სადღაც ზევით კიაფობდა ვარსკვლავი,
შავ ბურუსში გაეხვია ცა,
მთვარის ბინდში შენიღბულა
ოცნება, ლურჯ ზღვაზე დაეშვა
აწრიალდა აქოჩრილი ზღვა.
სადღაც მაღლა დაილანდა
სიცოცხლე
და სიჩუმეც თითქოს იყოს სხვა.

* * *

ცას ეფინება ლაჟვარდი ცისკრის,
მინდა ხმამაღლა ვუმღერო თბილისს,
სიცოცხლე მარად მოელის სიკვდილს
და მზე იტაცებს სიზმარეთს ფიქრის,
თუმც ეს ცხოვრება ილევა წლებად
და სიყვარული იქცევა შვებად.

* * *

ლურჯ ზღვაზე დაეშვა
რძისფერი თოლია
და ახლა ქუჩებშიც
ცისფერი თოვლია,
ამ ღამეს ღრუბლიდან
ფიქრებს უთოვიათ
და თითქოს სამოთხეც
არც ისე შორია,
ლურჯ ზღვაზე დაეშვა
რძისფერი თოლია.



**სალომე ჯაფიაშვილი.**
მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრი, თბილისის საავტორო ქართული სასწავლებლის VII კლ. მოსწავლე.

## მათხოვარი ბავშვი მოწყალებას ითხოვს



მატარებლის ვაგონში
შემოვიდა ბრმა,
ათიოდე წლის...
უკანკალებს ხმა.
„არის ხალხი ვაგონში?“
ეკითხება ტოლს,
ნაღვლიანი თვალებით
იყურება შორს.
და... დაიწყო სიმღერა
ხატი ჰქონდა გულთან,
პაწაწინა ხელებით
მოითხოვა სურდა.



ზოგმა შუბლი შეიკრა,
ზოგმა ზურგი აქცია,
ბედმა მისი ბავშვობა
ტანჯვად გადააქცია.
ხალხო, ნუ ხართ გულცივი,
ხალხო მოდით გონს,
ის ხომ თვალით ვერ ხედავს,
მაგრამ გულით გრძნობს.
მიდი-მოდის ხალხში,
ვინ მიიღებს ეულს?
ეძებს ბედნიერებას
სიზმრად გადაქცეულს.
მუდმივი მოლოდინი,
ლუკმა პურზე ფიქრი,
დადნა მისი ბავშვობა,
როგორც თოვლის ფიფქი.
ნუ არიდებთ სახეს,
ჩაუყარეთ სურდა,
მას კი ფულზე მეტად
მოფერება უნდა.
ცეცხლისფერ მზეს დაედო
ნაცრისფერი თითქოს,
მათხოვარი ბავშვი
მოწყალებას ითხოვს.
მატარებლის ვაგონში
შემოვიდა ბრმა,
ათიოდე წლის...
უკანკალებს ხმა.

„დარჩა ვინმე ვაგონში?“
ეკითხება ტოლს,
ცრემლიანი თვალებით
იყურება შორს.

* * *

ცის კიდიდან მირს დაეშვა
ვარდისფერი ფერია,
თან ჩამოჰყვნენ ანგელოზნი
და რა ტკბილად მღერიან.
ამ გალობამ გააღვიძა
იმერი და ამიერი
ქართველებო, ეს გალობა
არის მრავალჟამიერი.

* * *

მიწებს როცა არიგებდა უფალი,
ქართველი ამ დროს
ებრძოდა ბოროტს.
არ დარჩა მიწა თავისუფალი,
უფალთან ქართველი
მივიდა ბოლოს.
მუხლი მოიყარა,
ლოცვა აღავლინა,
მეუფემ ქართველს
წალკოტი მისცა,



მოგვმადლენ, უფალო,
შენ გადაგვირჩინე
ღვთისმშობლის
წილხვედრი ქართული მიწა.

* * *

ცეკვა ქართული —
ვაჟის და ქალის
გაუმხელელი გრძნობა მალული,
ცეკვა ქართული —
ზინდისფერ ცაზე
ანგელოზების დღესასწაული.

### ტერენტი გრანელს

რას ნიშნავს შეშლილი
ანდა ჭკვიანი,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ამ ქვეყნად თავის
მძიმე ჯვარს ზიდავს
ადამიანი —
ღმერთის ქმნილება.
ვინ არის ფლიდი
ანდა ერთგული,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ზებუნებრივი განაგებს ქვეყნად
ჩვენი ცხოვრების
ყველა ცვლილებას.
რა არის კარგი ან რაა ცუდი,
მანახეთ რაა სრულყოფილება?!
ყოფნა-არყოფნის
საკითხს ვერა სწვდება
ადამიანი —
უფლის ქმნილება.

### მარო მაყაშვილს

ღვთისმშობლის სახეს გადარებთ
მაგ ნაღვლიანი თვალებით,
თქვენს გმირობაზე
გვიითხრობენ
დღეს ქაშუეთის ზარები.
მაყაშვილების ფერია
ცხრამეტი წლისა ასული,
კოჯორის მისადგომებთან
მოწყალების დად წასული.
როგორ უწევდით მებრძოლებს
დობას, დედობას, შვილობას,
და თავდადებით უხვევდით
დაჭრილ სამშობლოს
ჭრილობას.
ღვთისმშობლის ხატს შეგადარებთ
მაგ ნაღვლიანი თვალებით.
თქვენს სადიდებელს
აღვავლენთ
ჩვენ და ქაშუეთის ზარები.

**გიორგი ომსარაშვილი.**
ქ. თბილისის მე-18 სკოლა-ლიცეუმის VI კლასის მოსწავლე.

## იუმორისტული ჩანახატი

### ნაწყვეტები ციკლიდან ბებიას საყბრები



როცა ბებია სამზარეულოში ფუსფუსს მორჩება, ჩანთიდან პატარა წიგნაკს ამოიღებს და ტელეფონს მიუჯდება. ბებიამ ცა და ქვეყნის სიახლეები იცის, განსაკუთრებით თავისი სოფელი ენატრება და ყველაფერს ურჩევნია იქაური ამბების გაგება.

აი, ეხლაც სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა და საქმეს შეუდგა: — ვოზდახუთმეტი, ვოზდათერთმეტი, ვოზდაორი... სათვალეები შუბლზე აიწია და კმაყოფილებით თქვა.

— გევიდა!

— ალო, ალო, ნათელა შენა ხარ?... აა, თამრიკო, აპა რომელი ხარ ქალბატონო? ნენა, ნენა, რაფერ მოვხვდი ახლა მაქანე, რა ჯანდაბა და წკვარამი დაეცა ამ ტელეფონს, ცეცხლი და ნაფთი მაგას! თამრიკო, რა ნომერია ნათელე? — მიუბრუნდა დედაჩემს ბებია.

— ნათელეს, ნათელეს, რომელი, და მინდიეს ნათელეს... — აა, გაიოცა ბებიამ და განაგრძო ნომრების აკრეფა — ვოზდა თორმეტი, ვოზდახუთმეტი, ვოზდაორი... ალო, ალო, ნათელა ხარ? თამრიკო შენა ხარ? ჩამევიდა ნათელე? რაფერა ხართ? დოუძახე ერთი ჩემი გოგო. ალო, ნათე შენა ხარ? ნენა ქალო, ძლივს არ მოგაგენი?! რაფერ იმგზავრე! ავტობუსით იმგზავრე, ხომ კი.... მინდიე იყო? რეიზა არ დამირეკე?.. ახლა მითხარი შენ, რაია ჩვენკენ ახალი?... ბიჭანჭურეს რძალი? ნენა ჩემი სიკვდილი, რა კაი ქალი იყო ქალო?! ბებიამ სათვალე აიწია და დანაოჭებული თვალებიდან ცრემლების წმენდა დაიწყო.

ამ დროს სამზარეულოს კარი გაიღო — ნინიკო! კარები დაკეტე, ნუ გაალიგვე ოთახი. — შემომიწყრა ბებია და ტელეფონით საუბარი განაგრძო. ...— ხო, რაია ქალო თლა გაალიგვენ ოთახი, სადაა ამდენი ნაფთი, ლარი გახდა ნაფთი... ხომ ქალო მთავარი კიდამე დამავიწყდა, არჩევნების საქმე რავაა? ხი, ხი, ხი, ბოლოს ჩაიხითხითა ბებიამ და ყურმილი გადადო.

**ნინო მაჭარაშვილი,**
სტუდიის წევრი, თბილისის № 1 გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე.



## გემუდარებით

ნუ გადავთელავთ
წინაპრის კვალსა
ნუღარც დავთმობთ კერას და ბანსა,
ნუ დავაჩლუნგებთ
გორგასლის ხმალსა
ნუღარ წავბილწავთ მიწას
და წყალსა.
ნუ მივატოვებთ
სახლსა და კარსა
ნუღარც დავყრით ხმალსა
და ფარსა,
ნუ დავთმობთ ნებით
სამშობლო ცასა,
ნუღარც გავცვლით
კლდეებსა სალსა.
ნუ გავუყადრებთ
ორგულსა თავსა
რომ აღარ დაწვდეს
სიმები ჩანგსა.
არ შევხსნათ ციხეს შიგნით კარები,
—
გემუდარებით, გემუდარებით.

**ოთარ კახიძე,**
შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრი, თბილისის 89-ე საშ. სკოლის V კლ. მოსწავლე.



## იბერია გაბრწყინდება



ქვეყანას ეძინა. თოვდა. ცაზე არ ჩანდა ვარსკვლავები. მთვარეს შავი ღრუბელი ამოჰფარებოდა. მარტო დარჩენილი შავ ღრუბელს უაზროდ დასჩერებოდა. დედამიწის ცოდვილი ზურგის დანახვა ერთხელ კიდევ სურდა. ეძინა ყველაფერს და ყველას, თვით ძილსაც. ხელების ცეცებით ვიღაც მიუახლოვდა გიორგის კარს, ეს ლაზარე იყო.

— ძია გიორგი! — ფრთხილად დაიძახა ლაზარემ.

— რომელი ხარ? — სახლიდან მოისმა ახლადგამოღვიძებული გიორგის ხმა. მას ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა თავი. ლაზარემ ფრთხილად შემოაღო კარი. გიორგიმ, რომ დარწმუნებულიყო ეს კვლავ სიზმარი არ იყო, მაჯაზე ხელი შეახო ლაზარეს.

— მეფეს გადაუწყვეტია დღეს წასვლა, ახლავე გამოვიყვანოთ ეტლები, — უთხრა და თხუთმეტ წუთში უკვე მეფესთან იყვნენ. მეფეც მზად იყო.

— გიორგი, მოდი ჩემთან, — მიიხმო მეფე ალექსანდრემ, მას ხელში რაღაც ფურცელი და საათი ეჭირა.

— ეს ჩემგან იყოს საჩუქრად. — უთხრა მეფემ და გიორგის გაუწოდა საათი და ფურცელი.

გიორგიმ მოწიწებით ჩამოართვა მეფეს საჩუქარი და ფურცელს დახედა, ეს იყო სიგელი, სადაც ეწერა: „სიგელი ეძლევა გიორგი ხვედელიძეს. იგი განთავისუფლებელია ყოველგვარი გადასახადისაგან“. — მხოლოდ ამის წაკითხვა მოასწრო გიორგიმ, რომ ხმა გაიგონა“ „Боже царя храни...“

მეფე ეტლში ჩასვეს შორეულ გზაზე გასამგზავრებლად.

## საჭიროა ტყუილი?

აკაკი ბაბუ ოთხმოცი წლისაა, ახლა ცოტა წელში მოხრილია და სიარულიც უჭირს. ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა. მეზობლები ამბობენ: ძალიან ძლიერი, ბრგე და ლამაზი იყოო. ახლა აღარ მსახურობს, სულ სახლშია და, წიგნებს ბევრს კითხულობს. განსაკუთრებით ნარდის თამაში უყვარს. მის აივანზე არა მარტო ხნიერები იკრიბებიან, უბნის ბიჭებიც გულშემატკივრობენ ხოლმე მოთამაშეებს. ნათესავ-მეგობრებიც შეუვლიან, მოიკითხავენ, ნარდსაც გააგორებენ და აკაკი ბაბუც ხან აგებს, ხან იგებს. ამას მნიშვნელობას არ აძლევს, მთავარია, თამაშობს.

იმ დღეს შუახნის ნათესავი ძია ზერო ესტუმრა. მოკითხვა-მიკითხვის შემდეგ ნარდის თამაში დაიწყეს. სტუმარს კამათლები გადაუცვივდა. ერთი იპოვეს იქვე, მეორე კი — ვერა. შეწუხდა ზერო ძია. აკაკი ბაბუამ ანუგეშა — სად წავა, აქვე იქნებაო. ანო მოვა და ის იპოვისო. ძია ზერომ კი წასვლისას დაუბარა:

— მე ვიცი, სადაც იყიდება კამათლები, თუ არ გამოჩნდა, გიყიდი. აკაკი ბაბუმ შეიცხადა:

— როგორ გეკადრება, მაგაზე არ შეწუხდეო.

ანო ბებო მოვიდა, სულ მისწი-მოსწია ავეჯი, სკამები... ვერ იპოვა ის პაწკუა კამათელი.

— ახლა ზერო რომ გაიგებს, ვერ ვიპოვე, შეწუხდება. — თქვა აკაკი ბაბუმ და ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ზერო ხარ? — ვიპოვე, ბიჭო, ის ეშმაკი კამათელი. აქვე გდებულა და ჩვენ ვერ დავინახეთ.

— ბაბუ, რატომ მოატყუე. ზერო ბაბუს? შენ ხომ ტყუილს ვერ იტან და სულ მარიგებ, ტყუილი უზნეობაა, — უთხრა შვილიშვილმა.

— ინერვიულებდა, შეწუხდებოდა, მერე იმ კამათლის გულისათვის ბაზარში უნდა წასულიყო. აი, ამიტომ ვუთხარი ტყუილი — ნირწამხდარმა უპასუხა ბაბუმ და თავისი პასუხით უკმაყოფილომ ჭაღარა ულვაშებს დაუწყო წიწკნა.

— ესე იგი, ზოგჯერ მაინც საჭირო ყოფილა ტყუილი, ხომ? — ღიმილით მიაჩერდა შეცბუნებულ ბაბუს.

— ასე გამოდის, თუ ის სიკეთისთვისაა საჭირო...

რამდენიმე დღის შემდეგ ზერო ძიამ შეუარა აკაკი ბაბუს, ჯიბიდან დაკარგული კამათელი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— საოცარია, გულის ჯიბეში ჩამვარდნია, — ღიმილით თქვა ძია ზერომ და ორივემ გულიანად გაიცინა.

— ეს კამათლები მამაჩემისეულია და იმიტომ დამენანა. — თავი იმართლა აკაკი ბაბუმ.

**თემურ ხვედელიძე,**
შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის წევრი, 67-ე სკოლის — IX კლასის მოსწავლე.

## ხევდის წვეთები

გული ჩურჩულით
მეუბნებოდა,
რომ ოკეანე სადღაც
ცას ერთვის.
მერე ამღერდა ისე ლამაზად,
ვიცი, მღეროდა
ის მხოლოდ შენთვის.

უცებ აღელდა ზღვა
და ტალღები,
ნაპირს მოსწყდნენ და
მზისკენ გაფრინდნენ,
მერე წვეთებად, მბრწყინავ
წვეთებად,
ხეებს მძივებად
ჩამოაფრინდნენ.

* * *

მდუღარე ცრემლებმა
დანამეს ბალიში,
დუმილის წივილი
გაისმა სულში,



ვარდს ტოტი მოსტყდა
და წითელი კოკრების
მუდარა ჩამესმა ყურში.



ქარზე უჩინარმა
წყვდიადის მეუფემ,
მთვარე ამოავლო მურში.
ვიღაცამ ახადა
ფიქრების ზარდახშას,
ტკივილი
ვიგრძენი გულში.

* * *

გულზე სისხლი
შეჰხმობია ქვას,
სიბრაზისგან
ანთებულა ხე,



მლაშე ცრემლი
ლოყას უწვავს მთას,
თოფის ხმაზე
ტანჯვით ოხრავს ტყე.

მიწას შიშით გაუთეთრდა თმა,
აკანკალდა გადაღლილი დღე,
ჩუმად ისმის ნაკადულის ხმა,
ირმის ცოდვით აკვნესდება მზე.

**მეგი საჯაია,**
ქ. თბილისის 179-ე სკოლის X კლასის მოსწავლე.



კავკასიონზე დაბუდებულა
მარადისობა,
თეთრ საბანში წევს კვლავ
მეინვარწვერი.
გელათის ფრესკებს
არ ემინებათ,
სვეტიცხოველი ამაყად დგას
შეუდრეკელი.
დარბაზობაზე ისევ
ბჭობენ ნაზი ჭადრები
და ტირიფები იღვრებიან
წმინდა ცრემლებად,
ქედს არ იხრიან გალავნები
თეთრი ტაძრების
წმინდა დედები მოდებიან
კედლებს ფრესკებად
...და ჩვენს მამულში
ფესვს იმაგრებს მარადისობა.

**ლიკა შურღაია,**
სტუდიის დაუსწრებელი კლუბის წევრი, ფოთის მე-11 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

უძღვება
შოთა ხოდაშნელი,
მხატვარი
სიმონ ჭიორელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

აბჯარი

**„აქ შრომა-გასწორების კოლონია ხომ არ არის?! საერთოდ, საჭიროა ჩვენთან ნარკომანიაზე საუბარი? ჩვენ ვართ ჯარში. ვემსახურებით კანონიერად და ადამიანურად!!!" – უკმაყოფილების სიტყვებს ქართულ სამხედროსამსახურებს მოკრძალებით ურთავდნენ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები და ხელმძღვანელნი თითქოს ამ ნათქვამითაც ამოწურებდნენ. „ვგონებ, ურიგო არა წამოგვცდება რაღა"...**

სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებული განსხვავებას, – რომ პირველი გარკვეულ ჩარჩოში თავსდება, აქვს უფლება და მოვალეობა, რის გამოც გამჭვირვალობის თვალსაზრისით ვერ დაემსგავსება მეორეს, – გაიგივებისთვის ჯარში გამოყენებით ნარკომანიის შემთხვევების კვლევას მოვყავით ხელი.

სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც დროს მხოლოდ საათით შეიცნობს. ჯარში დრო – უკეთეს მდგომარეობას უწევს, იმასთან შედარებით, რაც ეროვნული სამხედრო სამსახურს შექ...

# „იყავი კაცი კაცებს შორის!"



მნას, ჩამოყალიბებას და ნორმალურ ზღვრამდე მიყვანას ახლდა თან. ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს: „საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის ფინალურში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვის ფაქტებზე:

1997 წელს სასამართლოში წარმართა 17 სისხლის სამართლის საქმე 25 პირის მიმართ; 1998 წელს 12 სისხლის სამართლის საქმე 23 პირის მიმართ; 1999 წელს აღიძრა 15; 2000 წელს – 8; 2001 წელს – 8; 2002 წელს – 6, ხოლო წლეულს უკვე 4 სისხლის სამართლის საქმე..."

[...]

ნინო ძულუშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრანტი.

P. S. ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე კონკრეტულ სამხედრო ნაწილზე და ჯარისკაცთა ვინაობას ვერ ვამხელთ.

ნ. ძ.

ამ პუბლიკაციამ გაიმარჯვა შემოქმედებით კონკურსში „შიდსის, ნარკომანიის თემებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები" – დაიმსახურა ჟიურის სპეციალური პრიზი.

გამოცანა

# „დიდ სიზმარს განა პატარა კაცი ვერ ნახავს?"





[...]

თამაზ აქუბარდია.

კრიმინალი

გურჯაანის რაიონის კვალთის დასახლებაში ადგილობრივმა მოსახლეობამ 17 ივლისს, ღამის 2 საათზე, ამავე უბანში მცხოვრებ 43 წლის გოჩა გუბელაძე ქუჩაში დაჭრილი იპოვა. ...

[...]

ინტერ-პრესი.

ახალი ალმანახი

# ფაზისური ხნული ქართულ მწერლობაში

[...]

გიგლა გოგიჩაია.







## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების შედეგად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამედიცინო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 3 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

| № ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირ. ლარებში |
|---|---|---|
| № 01/97; 03.07.03 წ. | გაყ. ღორის ხორცი | 76 500. |

ფსიქიატრია

# დაწესებულება, სადაც მხოლოდ სამედიცინო პრობლემები არ წყდება

[...]

ნანა ხაინდრავა.

კვირა 20 ივლისი

[TV programme listings]

ხელოვნების სახელმწიფო ცენტრი
19.07 _ 27.07 mimdinareobs gamofena
ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
19.07 _ 27.07 mimdinareobs galereis oqros fondis gamofena.

განცხადება

შპს „პილონის" დამფუძნებელი კრების ოქმის თანახმად, გადაწყდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პილონის" ლიკვიდაცია. ...

დირექცია.

წინ, საქართველო!

# ფუტკარაძემ ელადის საგზური მოიპოვა



**სასიხარულო ცნობა მივიღეთ ნიუ-იორკიდან, სადაც მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ბათუმელმა ხათუნა ფუტკარაძემ მე-12 ადგილი დაიკავა და 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა.**

ხათუნა ფუტკარაძე გამოცდილი სპორტსმენია. იგი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა. მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი-ოფის პირველ წრეში მან სამხრეთაფრიკელ კირსტენ ლუისს მოუგო 156:148, მეორე წრეში კორეელი მი-კიუნგ პარკი დაამარცხა – 158:156. მერვედფინალში ჩინელ სი ლი ნიანს შეხვდა. დაძაბული ორთაბრძოლა ფრედ – 158:158 დასრულდა. დამატებით სროლებში ქართველი ჩუბინის ისარი ცხრიანში ჩაერჭო, ჩინელისა – ათიანში და ფუტკარაძე მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა, თუმცა, საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავა და, როგორც უკვე გითხარით, ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. იგი საქართველოში ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძის შემდეგ მეორე სპორტსმენია, ვინაც ელადაში გამოსვლის უფლება დაიმსახურა.

არ არის გამორიცხული, რომ ნიუ-იორკში კიდევ ერთი საგზური ქრისტინე ესებუამ მოიპოვოს. ეს 18 წლის სპორტსმენი, რომელიც უკრაინის ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი იყო, პირველსავე წრეში ოლიმპიურ ჩემპიონ კორეელ მი ჯი იუნს შეხვდა. ბოლო გასროლამ მას მხოლოდ 6 ქულა მოუტანა და გამოცდილ მეტოქესთან წააგო 151:154, არადა, ესებუას ლიცენზიისთვის 1 ქულაც ჰყოფნიდა. თუმცა, ჯერ იმედები არ არის გადაწურული, რადგან ოთხ სპორტსმენს ერთნაირი ქულა აქვს, მათგან სამს ფორტუნა გაუღიმებს, ერთი კი ხელცარიელი დაბრუნდება შინ. იმედია, რომ ამგვარ ბედს ქართველი ჩუბინი არ გაიზიარებს.

**ლევან ცინცაძე.**

ანონსი

# „ლოკომოტივი“ უმასპინძლებს

**წლეულს საქართველოს თასის გათამაშებაში მორაგბეთა 12 გუნდი ჩაება, რომლებიც ორგანიზატორებმა ოთხ ჯგუფში გაანაწილეს.** ორწრიანი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა რვა მეოთხედფინალისტი, რომლებმაც მთავარი პრიზისთვის ბრძოლა ოლიმპიური სისტემით განაგრძეს. საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ბათუმის „დათვებმა“ პირველი ნახევარფინალური მატჩი ქუთაისში წააგეს აიასთან 13:14, განმეორებით პაექრობა კი მოიგო 15:10 და ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლება შედარებით იოლად მოიპოვა თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელმაც ორივე შეხვედრა მოუგო „აკადემიას“.

დღეს 19.30 საათზე ბათუმის „დათვებისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფინალურ მატჩს რკინიგზელთა სტადიონი უმასპინძლებს.



მძლეოსნობა

# ნახევარფინალში იასპარეზებს

**გარდაბნელი მძლეოსანი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თარჯრბენსა და სიგრძე-სიმაღლეზე ხტომაში დავით ილარიანი 23 წლის სპორტსმენთა ევროპის პირველობაზე გამოდის პოლონეთში.** იგი 110 მეტრზე თარჯრბენში სცდიდა ძალებს. წინასწარ გარბენში მან 13,78 წამი აჩვენა, პირადი რეკორდი (14,01) გააუმჯობესა და 12 საუკეთესოს შორის მოხვდა, რაც მას ნახევარფინალში გამოსვლის უფლებას აძლევს. ნახევარფინალები და ფინალი კი დღეს გაიმართება. შესაძლოა, რომ ილარიანმა ოლიმპიური ნორმატივიც (13,62) გადალახოს და ელადის საგზურიც დაიმსახუროს. ამიტომაც გადაწყდა, რომ ქართველი სპორტსმენი, როგორც დაგეგმილი იყო, სიგრძეზე ხტომაში აღარ იასპარეზებს და ძალებს თარჯრბენთა ნახევარფინალისთვის შემოინახავს.

ურჩები დიდ კორუფციაში

# საკუთარ მუთაქაზე ფიქრით

**პირველი გვერდიდან**

როცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ საგანგებო ლეგიონს ინდივიდუალური საწარმო „ირმა გოგიტიძის“ მიერ დამატებული ღირებულების ანგარიშ-ფაქტურების გაყალბებასთან დაკავშირებით მასალები გადაუგზავნა, ინდმეწარმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმებამ გამოავლინა შემდეგი: 2002 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით ინდმეწარმე ი. გოგიტიძემ სხვადასხვა ოპერაციები განახორციელა, მაგრამ თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციაში სამეწარმეო საქმიანობის თაობაზე სათანადო ანგარიშები არ წარუდგენია და არც სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება უწარმოებია, რის შედეგად, როგორც საგანგებო ლეგიონის მასალებშია აღნიშნული, „არის გადასახადებისაგან თავის არიდების ფაქტები“.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ 2002 წლის 20 ივლისს ი.გოგიტიძის მიერ შპს „ელქორჯორჯიაზე“ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა საერთო თანხით 213036 ლარი (მათ შორის დღგ-ს თანხაა 35506 ლარი), ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციას 2002 წლის 9 აგვისტოს გაუცია... „საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაზე“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ყალბი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენებასთან.

გარდა ამისა, აქტის მიხედვით, რომელიც ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციამ 2003 წლის 24 აპრილს შეადგინა ინდივიდუალური საწარმოს „ირმა გოგიტიძის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების გამო, ამ უკანასკნელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებული ღირებულების გადასახადში დამატებით დაეკისრა 32724 ლარის გადახდა, მათ შორის ძირითადი თანხაა 18349 ლარი.

ამ მასალებზე დაყრდნობით, საგანგებო ლეგიონმა მოკვლევის შედეგად გამოიტანა დასკვნა, რომ 2002 წლის აპრილ-აგვისტოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ინდსაწარმო „ირმა გოგიტიძემ“ განსაკუთრებით თავი აარიდა დიდძალი გადასახადის გადახდას, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტი 18349 ლარით აზარალა. ამის გამო, საწარმოს ხელმძღვანელის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით საგანგებო ლეგიონმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ საგადასახადო კანონდამრღვევი ჯერ კიდევ მრავლად გვყავს და იქნებ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამის შედეგად ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალი კატასტროფული არც იყოს, მაგრამ არაკეთილსინდისიერ გადასახადის გადამხდელთა საერთო რიცხვს თუ გავითვალისწინებთ, ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ ყოველთვიურად სახელმწიფო ხაზინას მილიონობით ლარი აკლდება.

აი, საგადასახადო კანონდარღვევით სამეწარმეო საქმიანობის კიდევ ერთი მაგალითი.

საგანგებო ლეგიონმა ინდივიდუალური საწარმო „თეიმურაზ ბიჩენოვის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმებით დაადგინა, რომ საწარმოს ხელმძღვანელს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი აქვს 2002 წლის დეკემბრისა და 2003 წლის იანვრის დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციები, რომელთა მიხედვითაც 2002 წლის დეკემბერში დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 2 მილიონ 148 ათასი ლარი, დარიცხულმა დღგ-მ – 429712 ლარი, ჩასათვლელმა დღგ-მ – 431 ათასი ლარი, საიდანაც ბიუჯეტიდან ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 1287 ლარი.

2002 წლის დეკემბერში 431 ათასი ლარის ოდენობით ჩათვლა განხორციელდა შპს „ტორანადოს“ მიერ გამოწერილი დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით. როგორც საგანგებო ლეგიონში გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციიდან 2003 წლის 14 თებერვალს მიღებული წერილიდან ირკვევა, შპს „ტორანადოს“ 2002 წლის თებერვლის შემდეგ საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციები არ წარუდგენია და ბიუჯეტთანაც ანგარიში არ გაუსწორებია. შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციაში არც ზემოაღნიშნული დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაა წარდგენილი.

გარდა ამისა, ინდმეწარმე თ.ბიჩენოვმა 2002 წლის აგვისტოდან 2003 წლის თებერვლამდე 13 იურიდიულ და ფიზიკურ პირს მიაწოდა 4 მილიონ 202 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახეობის საქონელი. ამ თანხიდან ძირითადი გადასახადია 269319 ლარი.

დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ, ინდივიდუალური საწარმო „თეიმურაზ ბიჩენოვის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების 2003 წლის 6 მარტის აქტის მიხედვით, საწარმოს ხელმძღვანელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებული ღირებულების გადასახადში დააკისრა 475718 ლარის გადახდა, აქედან კუთვნილი ძირითადი გადასახადია 269319, დანარჩენი – ჯარიმა და საურავი.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტთან დაკავშირებით, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტს 269319 ლარის ზარალი მოუვიდა, საგანგებო ლეგიონმა თ. ბიჩენოვის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

აღსანიშნავია, რომ საგანგებო ლეგიონის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების მიუხედავად, თ. ბიჩენოვის ახლანდელი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა.

**კოტე კანდელაკი,**
**საქინფორმის კორ.**

ჰუმანიზმი

# იმედის-მომცემი პროექტი

**სახალხო დამცველის ოფისში საქართველოს ჰუმანური განვითარების პროექტთან დაკავშირებით სემინარი გაიმართა.**

– საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ახორციელებს ჰუმანური განვითარების პროექტს, რომლის მიზანია, ყველას, ვინც მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მიაწოდოს ინფორმაცია ჰუმანური განვითარების, მისი ინდექსისა და ათასწლეულის მიზნების შესახებ. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევის გარდა, სემინარების ამოცანაა, რომ აღნიშნულმა პიროვნებებმა ჩამოაყალიბონ ჰუმანური განვითარების კონცეფციის ცხოვრებაში დანერგვის საკუთარი ხედვა.

პროექტის მიხედვით დაგეგმილია 14 სემინარის გამართვა, რომელსაც გამოცდილი ექსპერტები წარმართავენ. 7 სემინარი მოეწყობა თბილისში, ხოლო 7 – რეგიონში, – აღნიშნა შეხვედრაზე საქართველოს ჰუმანური განვითარების ცენტრის პრეზიდენტმა, პროექტის დირექტორმა ალუდა გოგლიჩიძემ.

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა, საქართველოს ჰუმანური განვითარების პროექტის ავტორმა ლანს კლარკმა სემინარზე ისაუბრა 2015 წლამდე საქართველოში სიღარიბის დაძლევის პრობლემებზე. იგი თვლის, რომ საქართველო, არა მხოლოდ ეკონომიკურად უნდა განვითარდეს, არამედ სულიერად, ზნეობრივად, ჰუმანური თვალსაზრისითაც. და დასძინა, რომ ამაში, გადამწყვეტი როლი საზოგადოებამ უნდა შეასრულოს.

მსოფლიოს 170 ქვეყნიდან, ჰუმანური განვითარების მიხედვით საქართველოს 88-ე ადგილი უჭირავს, აზერბაიჯანი ცოტათი უსწრებს, ხოლო სომხეთი და თურქეთი კი საქართველოს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

განათლებისა და წერა-კითხვის, ჯანდაცვის განვითარების მიხედვით საქართველო 92-ე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით 50-ე ადგილზეა, აღნიშნა გაეროს ექსპერტმა.

ჰუმანური განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკურ ზრდას, ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს, განათლებულობას და ღირსეულ ცხოვრებას, სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, დაწყებითი განათლების უზრუნველყოფას, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ა. შ.

შეხვედრის დასასრულს საინტერესო დისკუსია გაიმართა.

**ნანა სულავა.**

ჭადრაკი

**უკვე გაუწყეთ, რომ ბათუმის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. საქართველოს, უკრაინის, თურქეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ამერიკის შეერთებული შტატების 151 წარმომადგენელი იბრძვის პირველობისთვის. მონაწილეთა შორის 17 დიდოსტატია (10 მამაკაცი და 7 ქალი) და 16 საერთაშორისო ოსტატი. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება. საგულისხმოა, რომ ქალები და ვაჟები ერთად თამაშობენ, ოღონდ 25 ივლისს პრიზიორები ცალ-ცალკე გამოვლინდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟთა შორის გამარჯვებული წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მიიღებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და დაძაბულს ხდის ამ შეჯიბრებას.**



# 12 წლის ლუკა ქალებზე „ნადირობს“



ორი ტურის შემდეგ ფავორიტთა უმეტესობა უდანაკარგოდ მიიწევს წინ. მაგალითად, ორ-ორი ქულა აქვთ პირველმეშვიდე ნომრებად განთესილ დიდოსტატებს (რეიტინგის მიხედვით) – გიორგი ყაჭეიშვილს (2603) საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ ბაადურ ჯობავას (2596) 17 წლის უკრაინელ ანდრეი ვოლოკიტინს (2585), მერაბ გაგუნაშვილს (2577) სომეხ არტაშეს მინასიანს (2571), ზვიად იზორიას (2541) და სომეხ არსენ იეგიაზარიანს (2524) ქალთაგან 2-2 ქულა ნინო ხურციძემ (2440) და ანა მათნაძემ (2386) მოაგროვეს.

ჩემპიონატზე ორი დღის განმავლობაში რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც აღინუსხა. მაგალითად, 12 წლის ლუკა პაიჭაძემ პირველ ტურში საერთაშორისო ოსტატ ლელა ჯავახიშვილს მოუგო, მეორე ტურში კი განთესილთა სიაში მასზე 66 საფეხურით მაღლა მდგომ მოლდოველ დიდოსტატ სვეტლანა პეტრენკოს დაუზავდა. ყაიმით დამთავრდა 16 წლის ნინო ბაციაშვილის და საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილის შეხვედრა, 47-ე ნომრად განთესილმა თამაზ მგელაძემ კი დიდოსტატი თამაზ გელაშვილი (VIII ნომერი) დაამარცხა. მომდევნო ტურებიც, იმედია, ბევრ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს.

– წინა წლებისგან განსხვავებით ამ ჩემპიონატში ნაკლებად მონაწილეობენ უძლიერესი უცხოელი დიდოსტატები, – მითხრა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჭადრაკის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **მარინე მილორავამ**. – რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც აქვს. წლეულს საგრძნობლად შემცირდა საპრიზო ფონდი, რის გამოც ბევრმა მოჭადრაკემ ბათუმში ჩამოსვლაზე უარი თქვა. თანაც ამ შეჯიბრებაზე ინტერნეტში არ იყო სპეციალური გვერდი, რომლის მეშვეობითაც ბრძენთა თამაშის მოყვარულნი ირჩევენ ტურნირებს. ჩვენ კი მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა ქვეყანას, მაგრამ ადგილობრივმა ფედერაციებმა თავი არ შეიწუხეს, რათა მსურველები გაეფრთხილებინათ. თანაც, ფესტივალის გამართვის თარიღიც არასასურველი გამოდგა, რადგან ამ დროს უცხოეთში ბევრად ძვირადღირებული შეჯიბრებები იმართება. მაგალითად, ჩეხეთის ტრადიციული ტურნირი, სადაც მსაჯად მიიწვიეს ჩვენი ცნობილი არბიტრი ევგენი მელიქსეთ-ბეგი. ყოველივეს მიუხედავად, ამ ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი, რაც საქართველოს მოჭადრაკეებს საკუთარი ძალების გამოცდისა და ოსტატობის ამაღლების საშუალებას მიცემს.

გუშინ მე-3 ტურის პარტიები გაიმართა. ბაადურ ჯობავამ, ანდრეი ვოლოკიტინმა, მერაბ გაგუნაშვილმა, ზვიად იზორიამ, ვალერი გაფრინდაშვილმა, არა მინასიანმა, თამაზ მგელაძემ, ნინო ხურციძემ გუშინდელი შეხვედრები მოიგეს და 3-3 ქულით დაწინაურდნენ.

**ვაჟა დანელია,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**ბათუმი.**

**სურათებზე: მარინე მილორავა; 12 წლის ქეთევან ქანთარია; შეჯიბრების მომენტი.**
**ავტორის ფოტო.**



არქიტექტურა

# „ქართული სახლი“ ქუთაისსა და ოზურგეთში

**თბილისში წარმატებული გამოფენის შემდეგ, არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია „არსის“ ინიციატივით, პროექტ „ქართული სახლის“ ეგიდით, 20 ივლისიდან ქუთაისში ამავე სახელწოდების გამოფენა გაიმართება.**

როგორც ცნობილია, პროექტის მიზანია ქართული ტრადიციული საერო არქიტექტურის თანამედროვე დიზაინში გადაწყვეტა და ძველისძველ ტრადიციებზე დაყრდნობით, ახალი ქართული არქიტექტურის შექმნა.

ქუთაისის გალერეა „ვარლა“ (ვარლამიშვილის ქ. № 10) უმასპინძლებს უნიკალურ ფოტოგამოფენას ქართული სახლის დიზაინისა და არქიტექტურის თემაზე. კომპანია „არსთან“ ერთად, გამოფენის ორგანიზატორია ქუთაისის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

23 ივლისს გამოფენა ოზურგეთში გადაინაცვლებს და ამ ქალაქის განვითარების ფონდის, ოზურგეთის სამხატვრო გალერეის ხელშეწყობით, სწორედ გალერეაში (რუსთაველის ქ. № 10) დაიდებს ბინას.

გამოფენაზე წარმოდგენილი უნიკალური ფოტომასალის ავტორია პროექტ „ქართული სახლის“ კოორდინატორი ნანა მეფარიშვილი.

ჩვენმა მკითხველმა ისიც კარგად იცის, რომ კომპანია „არსი“ და „სტუდია ორი“ აწყობენ კონკურსს პროექტ „ქართული სახლის“ ეგიდით. კონკურსი 15 სექტემბრამდე გრძელდება. ქუთაისსა და ოზურგეთში გამოფენის მოწყობა იმასაც ნიშნავს, რომ კონკურსის მონაწილეთა არეალი გაფართოვდეს და მასში საქართველოს მხარეებში მოღვაწე ყველა არქიტექტორმა და დიზაინერმა, გნებავთ, რიგითმა, მაგრამ ხალხში აღიარებულმა ოსტატმა და კირითხურომ მიიღოს მონაწილეობა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური ფულადი პრემიები: პირველი პრემია – 4000 ლარი; ორი მეორე პრემია – 2000 ლარი; სამი მესამე პრემია – 1000 ლარი; ექვსი წამახალისებელი პრემია – 200 ლარი.

ეჭვგარეშეა, ამ კონკურსით,

არსი
არქიტექტურა
და სამშენებლო მენეჯმენტი

მართლაც, ბევრი არქიტექტორი და დიზაინერი დაინტერესდება. თუმცაღა, ვიმეორებთ, კონკურსში მონაწილეობის და გამარჯვების დიდი შანსი „სახალხო“ ოსტატებსაც აქვთ. კონკურსის მთავარი მიზანი ხომ ხალხური ტრადიციების და ღვევანდელობის შერწყმაა.

**სპარტაკ ძოწულია.**

ყოველი მხრიდან



## ულრიხმა „ბრჭყალები“ გამოაჩინა

**სუპერმრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანს“ მე-12 ეტაპი გამოირჩეოდა პლანეტის ორი უძლიერესი ველოსიპედისტის – „ტურის“ 4-გზის ჩემპიონის, ამერიკელ ლენს არმსტრონგისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, გერმანელი იან ულრიხის „დუელით“, ეს უკანასკნელი აქამდე თითქოს ჩრდილში იმყოფებოდა.** მაგრამ 47 კილომეტრზე ინდივიდუალურ პაექრობაში ერთბაშად გამოაჩინა „ბრჭყალები“ – ეტაპიც მოიგო, და მე-6 ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. ახლა ის რბოლის ლიდერს – არმსტრონგს 34 წამით ჩამორჩება.

„დიდი მარყუჟის“ შეჯიბრებებში მონაწილეობის მანძილზე ეს ულრიხის მე-5 გამარჯვებაა.

**სურათზე: იან ულრიხი.**

## ზანარდი ისევ საჭეს მიუჯდა

**ალბათ, ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, 2001 წლის აგვისტოში გერმანიის ქალაქ ლაუზიტრინგეში რბოლის დროს მომხდარი კატასტროფის შედეგად ორივე ფეხი დაკარგა ამერიკული ავტორბოლის cart ექს-ჩემპიონმა და „ფორმულა-1“-ის ყოფილმა პილოტმა, იტალიელმა ალექსანდრო ზანარდიმ.**

და აი, მამაცი პილოტი ისევ სარბოლი მანქანის საჭეს მიუჯდა. არ გეგონოთ, რომ ზონარდი რაღაც საჩვენებელი გარბენისთვის ემზადებოდეს. არა, ის სერიოზულად ფიქრობს ნამდვილ რბოლებზე. მისი მიზანია 17-19 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის touning car ფინალურ ეტაპში მონაწილეობა.

ახლა ქალაქ მიზონაში იტალიელმა დაიწყო BMW-320 ათვისება, ის სპეციალურად გადააკეთეს უფეხო პილოტისათვის. ზანარდიმ 27 წრე გაიარა და ზოგიერთ მონაკვეთზე ლიდერს მხოლოდ 3 წამით ჩამორჩა. შემდეგ ზანარდიმ განაცხადა, რომ ჯერჯერობით საუკეთესო დროს ჩვენება არ აინტერესებს. მთავარია მანქანის „მორჯულება“ მისი შესაძლებლობებისა და სტილის შესაფერისად.

პილოტის ვარჯიშს თვალს ადევნებდა ექიმი კლაუდიო კოსტა, რომელმაც ამ მამაცთა სპორტს ბევრი მრბოლელი შეუნარჩუნა.

## მონტე-კარლოს პარადოქსები

**13-14 სექტემბერს მონაკოში გაიმართება მძლეოსანთა დიდი ტურნირი ე. წ.** iaaf world athletics final **– კონცეფციით სრულიად ახალი საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც უნდა შეცვალოს „გრან-პრის“ ფინალი.** ახლებური მსოფლიო ფინალის პროგრამაში ამ სპორტის 33 სახეობაა. თითოეული სახეობის 7 მონაწილეს (1500 მეტრამდე სირბილის სახეობების გარდა. იქ 11 კაცია) შეარჩევენ 7 სექტემბრამდე მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) რეიტინგის მიხედვით.

ერთი საყურადღებო დეტალის შესახებ: მონაკოს სტადიონი უვარგისია უროს ტყორცნაში შეჯიბრებისთვის. ამიტომ უროსმტყორცნელები უნგრეთში ქალაქ ბომბატელიში იასპარეზებენ, მონტე-კარლოში კი პირდაპირ სტადიონზე მოეწყობა ამ შეჯიბრების ტელეტრანსლაციის ჩვენება. რატომღაც ამ ახალი ტურნირის პროგრამაში „გამორჩათ“ სპორტული სიარული, მარათონი და მრავალჭიდი.

## ურთულეს პაექრობაში

**მთელი ქულის უპირატესობით დაჯაბნეს უახლოესი მეტოქეები რუსეთელმა სინქრონულმა მოცურავეებმა ანასტასია ერმაკოვამ და ანასტასია დავიდოვამ. როგორც ამბობენ, მათ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ფუკუოკაში უნდა გაემარჯვათ, მაგრამ იქ უპირატესობა იაპონელ მასპინძელთა დუეტს მიანიჭესო.**

ბარსელონაში კი მათი წარმატება უდავო იყო. ანასტასიათა დუეტის ტრიუმფი კი ღირდა ორი წლის მოცდად – აქედან უკვე ათენის წყლის ბილიკებიც გამოჩნდა.

3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის ჩინელმა გო ცზინცზინმა „იოქროვა“.

წყალბურთელთა პაექრობის მერვედფინალში რუსეთის ნაკრებმა სძლია ბრაზილიისას – 10:3, კანადა დამარცხდა უნგრეთთან – 3:13, ჩინეთი – გერმანიასთან – 4:10, ავსტრალია – აშშ-სთან – 7:13.

**სურათზე: რუსეთელ სინქრონულ მოცურავეთა „ოქროს“ დუეტი – ანასტასია დავიდოვა და ანასტასია ერმაკოვა.**



**სპორტის რედაქცია**

საქართველოში პირველად
მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი
გთავაზობთ

**ჟურნალისტის** პროფესიის დაუფლებას ევროპული სტანდარტების დონეზე შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკისა“** და ტელეკომპანია **„იმედის“** ბაზებზე.

*გეძლევათ უნიკალური შანსი*

პარალელურად დაეუფლოთ **მეორე** პროფესიას

- პროგრამის წამყვანი და სარეჟისორო ხელოვნება
- საზოგადოებასთან ურთიერთობები
- პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია
- სამართალმცოდნეობა
- ქართულ-ევროპული ფილოლოგია
- ტურიზმი
- ეკოლოგია
- ეკონომიკური ურთიერთობები

და სწავლა განაგრძოთ **ერთწლიან მაგისტრატურაში.**

გათვალისწინებულია **შეღავათები, სტიპენდიები და დასაქმება.**

ფუნქციონირებს **კოლეჯი და ფილიალები**

ოზურგეთში
სამტრედიაში
ზუგდიდში

საბუთების მიიღება 25 ივლისამდე.
მ. კოსტავას ქ. 14,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
IV სართული, ოთახი 19.

ტელ: 93-35-99;
93-26-99; 38-94-33; 899 24-18-86; 899 17-21-21.

ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



ეს ფოტოსურათი 1972 წლის მარტის თვეშია გადაღებული ჩოხატაურში, მუზეუმის წინ, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის გახსენებასთან დაკავშირებით. მარცხნიდან, ცნობილი ქართველი ისტორიკოსები: შოთა მესხია, პროკოფი რატიანი, გულჩინა აკოფაშვილი, ნათელა ნაცვლიშვილი, რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრიგოლ მამალაძე, აკადემიკოსები ანდრია აფაქიძე და მამია დუმბაძე, რაიონის თავკაცი ტარიელ ჩხიკვაძე, პროფესორი ალექსანდრე კალანდაძე, დურმიშხან ცინცაძე, ნიკო ბერძენიშვილის ნათესავებთან ერთად.

მოგვაწოდა დურმიშხან ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

გამოფენა

# ფიქრები ქვაქცეულ ოცნებებსა და მარადიულობაზე



**პამპასეთში სახლის საგამოფენო დარბაზი სავსე იყო ხელოვნების მოყვარულებით. საქართველოს დამსახურებული მხატვრის რობერტ კონდახსაზოვის ახალმა ნამუშევრებმა საოცარი ინტერესი გამოიწვია.**

როგორც ცნობილი რუსი პოეტი ილარიონ ფომენკო ბრძანებს: „საქართველოს დამსახურებული მხატვრის ტიტული ბევრს არაფერს ეუბნება, ისინი მრავლად არიან დამსახურებულნი და დაუმსახურებელნი, ღვთით ბოძებული ნიჭით დაჯილდოებულნი და საშუალონი... რობერტი თავისი სტილით ერთადერთია. იგი ევროპელია ყოველგვარი შელამაზების გარეშე“.

გამოფენა გახსნა გალერეა „სოლოლაკის“ ხელმძღვანელმა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა. მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრეს ხელოვნებათმცოდნე ნინო მალაშენოკმა, მხატვარმა კოკიტ ვეფხვაძემ, პოეტმა მზია ხეთაგურმა და სხვებმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა მაყვალა გონაშვილმა თქვა: განსაკუთრებული სიყვარულით მინდა აღვნიშნო ის, რომ რობერტ კონდახსაზოვის ოჯახის ყველა წევრი საქართველოს ერთგული მსახურია. ბატონი რობერტი თავისი მშვენიერი მხატვრობით, მეუღლე ვიქტორია მინინა და ქალიშვილი დინარა ქართულ მწერლობას რუსულად თარგმნიან. სიძე, აწ გარდაცვლილი პოეტი, ეძღვნებოდა ქართულ კულტურას. მაყვალა გონაშვილმა სიტყვა მხატვრის და ამ ერთგული თბილისური ოჯახისადმი პატივისცემის ნიშნად წაიკითხა მათი სიძის ლექსის ქართული თარგმანი, რომელიც მხატვრის სულის უკვდავებას ეძღვნება.

უზომო თავმდაბლობით გამორჩეული ბატონი რობერტი ამჯერად სიტყვაძუნწობდა, თუმცა, არც იყო საჭირო სიტყვები, რადგან მისი ნახატები ჩვენს დღევანდელობაზე, ქვაქცეულ ოცნებებზე, მარადიულობაზე საუბრობდნენ და გვატყვევებდნენ.

იზა ჯაჭვაძე.

სურათებზე: რობერტ კონდახსაზოვი; მხატვრის ორი ფერწერული ტილო.



იხარე ჟღერო!

# ქორწილია, ქორწილი!

**— გთხოვთ, ხელის მოწერით დაადასტუროთ თანხმობა, რომ ორთავეს მართლაც სურთ დაქორწინება, — ახალგაზრდებმა დასტურით უპასუხეს, რამაც უდიდესი სიხარული მოჰგვარა თბილისის ქორწინების სასახლის ურთის ინსპექტორს მარინა კახიანს, დაქორწინებულთა შეუღლება.**



ტუხინური ულამაზესი ფოტოების მაუსიერამდე ია ყურამიშვილი და მისი თანაკურსელი ალეკო იმერლიშვილი სიყვარულით ოჯახის შექმნით დაგვირგვინდნენ.

დღეს სამეგრელოში ქორწილი იქნება!

სულითა და გულით ვულოცავთ ერთმანეთის შემხედვარე დედ-მამებს, ახალ ოჯახებს. ბევრი სიყვარული, ბედნიერება, ბევრი კარგი სიხარულები და ახალ ცხოვრებას ლამაზი განვითარება.

ახალგაზრდა წყვილს ვუსურვებთ ტკბილ ცხოვრებას და ბედნიერებას. ბავშვებს მათი ცხოვრების მშვენიერი წუთებში ნაიზრევსა და გათქმულს გადავცემთ ყველას:

ია: — ძალიან ბედნიერი ვარ. დაე, ასეთი სიხარულის განცდა ყველას დაუფლებოდეს.

ალეკო: — ვისურვებდი, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მალე გაუმჯობესებულიყოს, რათა ახალშექმნილ ოჯახებს ერის გამრავლების და ღირსეული შვილების აღზრდის საშუალება მიეცეთ.

ია კალანდარიშვილი.
ჯემალ ქარიაძის ფოტო.

დიმილის დოზა



მოსკოვის ცნობილი კლინიკა. ფსიქოთერაპევტის კაბინეტი:

— ივან პეტროვიჩ, პატივცემულო ექიმო, ჩვენი გასაჭირი უნდა გაგანდოთ.

— ბრძანეთ, პიოტრ ივანოვიჩ!

— მას, ივან პეტროვიჩ, ჩვენთვის ქვეყნის დარიგებით და ქვეყნის სწავლებით მუდმივი ტერორის ქვეშ ვართ, ყველა ჩვენს საქმეში ერევა. ის — ესეა, ის — ისეა! მოვეღრით და გავიძრებოდურებდით, მაგრამ ფულს გვაძლევს და ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული... რა ვქნათ ექიმო? გვირჩიეთ რამე.

ექიმი:

— ნუ ღელავთ, ნუ ღელავთ! ბევრსა აქვს მსგავსი კონფლიქტი სიდედრთან...

პაციენტი:

— ექიმო, რა სიდედრი, რის სიდედრი, ამერიკაზე გელაპარაკებით!!!

* * *

მ ღ ვ დ ე ლ ი მრევლს მიმართავს:

— შვილნო ჩემნო, თქვენთვის ორი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი. კარგი ის, რომ ფული გვაქვს სამრევლო ტაძრის აღდგენისთვის. ცუდი ის, რომ ფული ჯერ კიდევ თქვენს ჯიბეებშია.

გვწერენ

# ვერტოლები ღამაზ ვარსკვლავეს...

**თბილისის რკინიგზის ძველი ვაგზალი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობასა და მის სტუმრებს.**

თბილისის რკინიგზის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქცია 1952 წელს განხორციელდა. ძველ ვაგზალს ამშვენებდა წითელი ვარსკვლავი, რომელიც იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მითითებით იყო გამოგზავნილი მოსკოვიდან.

1987 წლის ნოემბერში დასრულდა თბილისის რკინიგზის ახალი შენობის პროექტის შემუშავება, რომლის ავტორები იყვნენ ი. ყაველაშვილი, რ. ხარაბაძე, ბ. მაედა, ჯ. ჯიბლაძე, მთავარი კონსტრუქტორი მ. გაბაშვილი.

თბილისის რკინიგზის ვაგზლის დღევანდელი ნაგებობა ისე გამოიყურება, რომ მომავლის იმედით, თითქოს, რაღაცას ელოდება.

ჩემი ღრმა რწმენით, შენობას, დიახაც, უნდა ამშვენებდეს წითელი ვარსკვლავი, რომელიც ღამე გაანათებს და კიდევ უფრო დაამშვენებს ვაგზლის წინა მოედანს.

ვაგზლის თავზე ლამაზი, არქიტექტურულად კარგად „მორგებული“ უზარმაზარი ვარსკვლავი სულაც არ არის სოციალიზმის და კომუნიზმის სიმბოლო, იგი ერთგვარი ორიენტირი და მშვენება იქნება.

ვარსკვლავები, უპრალოდ, ვარსკვლავია — ბრძანებით ცოდნაა და მშვენიერი.

ნათელა დავითაშვილი.

გამოიცა

# ქართული ენის მოამაგის ახალი წიგნი

**პოპულარული ლიტერატურის სერიით ახლახან გამოვიდა მონოგრაფია „ენობრივი გლობალისტიკა, ენის სიწმინდე, სიტყვათშემოკლება, სულხან-საბა, გრანელი“, რომელიც გამოსცა რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესმა“.** წიგნში განხილულია ეროვნულობის ერთ-ერთი ბალავრის — ენის პრობლემების პრაქტიკული საკითხები, ენის სიწმინდის, მართლწერის დაცვის, ქართულ სიტყვათშემოკლებათა ახალი წესებისა და სხვა საკითხები. ავტორმა წარმოადგინა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის მეცნიერული გლობალისტიკის საკითხები (მანვე შემოიტანა ტერმინი „ენობრივი გლობალისტიკა“) და აჩვენა, რომ სხვა ტიპის გლობალიზაციისაგან განსხვავებით ენობრივი გლობალისტიკა მცირე ერებისათვის არ არის დამღუპველი და არც თავსმოხვეული მოვლენა. აქვეა განხილული ტერენტი გრანელის პოეტიკის ორიგინალური კვლევის შედეგი, სულხან-საბას ერთი ლექსიკოგრაფიული დაზუსტება, პოლემიკური წერილები, სხვადასხვა დროს გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები და სხვ. მოცემულია, აგრეთვე, თანამედროვე დარგების (ეკონომიკა, ბიზნესი, ფინანსები და სხვა სფეროების) ტერმინოგრაფიის საჭირბოროტო საკითხები. კერძოდ, მასმედიაში, ჟურნალისტიკასა და თანამედროვე სამეცნიერო დარგებში ენობრივი დამახინჯების, ტერმინობრივი უზუსტობების, მართლწერისა და სხვა საკითხები. წიგნი „ენობრივი გლობალისტიკა, ენის სიწმინდე, სიტყვათ შემოკლება, სულხან-საბა, გრანელი“ განხილულია და დასაბეჭდად დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ.



ენობრივი გლობალისტიკა, ენის სიწმინდე, სიტყვათშემოკლება, სულხან-საბა, გრანელი

წიგნი გამოიცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პაატა ცხადაიას და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გიორგი ჯაიანის რედაქციით.

— წიგნის ავტორი რევაზ ბერულავა არის ახალი ტიპის გამოკვეთილი მეცნიერი, რომლის შემოქმედება დაკავშირებულია უახლოეს ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დარგებთან: გამომთვლელი ტექნიკა, კომპიუტერის არქიტექტონიკა, მიკროელექტრონიკა, ლექსიკოგრაფია, ტერმინოგრაფია. ამ დარგში მან გამოაქვეყნა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ოთხი მონოგრაფია, ორი სახელმძღვანელო, 160-მდე ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე“ — ასე ახასიათებენ მას ივერი ფრანგიშვილი, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, ნოდარ ამაღლობელი, მინდია სალუქვაძე, თამარ გამყრელიძე, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ანზორ ხელაშვილი, დავით გორდეზიანი, ზურაბ ჭუმბურიძე, პაატა ცხადაია.

ახლახან თსუ-ის დიდმა სამეცნიერო საბჭომ კენჭისყრით მხარი დაუჭირა (მომხრე იყო 137, თავი შეიკავა ერთმა) 2004 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე ავტორთა ჯგუფის რ. ბერულავას, ი. ქვაჩახიას და თ. ბერულავას მრავალენოვანი დარგობრივი ლექსიკოგრაფიის ციკლის, 1975-2000 წლებში შექმნილი „კომპიუტერული მეცნიერებათა და კომპიუტერიზაციის მრავალენოვანი დარგობრივი ლექსიკონების ციკლის“ წარდგენას.

ნათელა ფაილოძე.

მიდვწიან, მოგიგონებენ...

# „შემოკლებული ფიზიკიდან“ ... ამდე

**პროფესორმა ვახტანგ პარკაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ისეთ საინტერესო, პოპულარულ და „მასობრივ“ (ანუ ფართო მასებისათვის მისაწვდომ) მეცნიერულ დარგს, როგორიც არის მეცნიერების ისტორია. ერთობ დასაფასებელია მკვლევარის ღვაწლი, აგრეთვე, ზოგადად ფიზიკის ისტორიისა და, კერძოდ, საქართველოში ფიზიკური მეცნიერების ისტორიის კვლევის საქმეში.**

მან, პირველმა, გულმოდგინედ „გამოჩხრიკა“ უძველესი დროიდან 1980-იან წლებამდე ყველა მნიშვნელოვანი ქართული საბუნებისმეტყველო აღმოჩენა თუ მიღწევა, და, რაც მთავარია, შეძლო ეს ეროვნული ინტელექტუალური სიმდიდრე უცხოეთისთვის გაეცნო. საერთოდ, ბატონი ვახტანგი მეცნიერი-ინტერნაციონალისტის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა და ბევრს აკეთებდა ქართულ-რუსული, ქართულ-საზღვარგარეთული მეცნიერული კონტრაქტების გაღრმავება-განმტკიცებისათვის, რაც სულაც არ უშლიდა ხელს მხურვალე პატრიოტად დარჩენილიყო და „ხმალშემართული“ მდგარიყო ეროვნული ინტერესების, ეროვნულ ინტელექტუალურ ფასეულობათა დასაცავად.

მრავალრიცხოვანი შრომებიდან თვითონ ავტორი ორს განსაკუთრებით გამოარჩევდა: სულ პირველს — „დავით ბატონიშვილი და მისი „შემოკლებული ფიზიკა“ და ბოლოს — „ფიზიკის ისტორია“ (მრავალტომეული, რომელსაც თურმე თითქმის ნახევარი საუკუნე მოანდომა).

მართლაც რომ, დამსახურებულად იყო აღბეჭდილი ვახტანგ პარკაძის სახელი წარჩინების მრავალზე მრავალი ნიშნით: საპატიო წოდებებით, სიგელებით, დიპლომებით, სხვადასხვა ქვეყნის (რუსეთი, პოლონეთი, გდრ, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ინგლისი, იაპონია) ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებით, ეროვნული ჯილდოებით — ივანე ჯავახიშვილის, ზაზა ფანასკერტელის, გრიგოლ მუხაძის მედლებით, ღირსების ორდენით.



ერთ წოდებაზე საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ: ვახტანგ პარკაძე მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) გახლდათ. ეს აკადემია 1928 წელს დააარსა გამოჩენილმა ფრანგმა ფიზიკოს-ექსპერიმენტატორმა, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჟან პერენმა და მოკლე ხანში დიდად პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციად იქცა. ვახტანგ პარკაძე დღემდე ერთადერთი ქართველი მეცნიერია, რომელსაც ასეთი აკადემიის ნამდვილი წევრობის პატივი ხვდა. საყურადღებოა, რომ იმ მომენტისათვის (1983 წ.) მხოლოდ იგი იყო ფიზიკის ისტორიის სპეციალისტი 11 საბჭოელ წევრსა და წევრ-კორესპონდენტს შორის.

პროფესორ ვახტანგ პარკაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სხდომა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათე მირიანაშვილის სახელობის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში. იყო მოხსენებები განსვენებულის (ბატონი ვახტანგი 1998 წელს გარდაიცვალა) ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მეცნიერული მემკვიდრეობის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოში საქმიანობის შესახებ (ეს საბჭოც ვახტანგ პარკაძის დაარსებულია!). იყო კოლეგების, მოწაფეების, მეგობრების მოგონებები. დამსწრეთ უჩვენეს მოკლე დოკუმენტური ფილმი იუბილარზე და უსაჩუქრეს ბროშურა „ვახტანგ პარკაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (ავტორი — ბატონი ვახტანგის ერთ-ერთი მოწაფე ნატო ქავთარაძე, გამომცემელი — მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება).

თამაზ ეზანიძე.

სიჯაბუკე და ლექსი ერთია

# „და მე კვლავ მაინც შენ გადღეგრძელებ...“

**ნინო მენაბდიშვილი დაიბადა 1984 წლის 9 ოქტომბერს. 2002 წელს დაამთავრა 178-ე საშუალო სკოლა. ბავშვობიდანვე წერს ლექსებს, ჩანახატებს, მისი ოცნებაა ჟურნალისტობა. წლებთან ერთად, ცხადია, ოსტატობაც მოემატა. ყველაფერი წინ არის.**

**ჭაშნიკად გთავაზობთ ნინოს რამდენიმე ლექსს.**



## სკოლა და ბოლო ზარი

გაივლის დღენი, გაივლის წლები,
მოსწავლეობა უკან დარჩება,
და სიყვარულის პირველი გრძნობა
აღარასოდეს დაგვიბრუნდება.

ის ხომ დაიწყო პირველ მერხიდან
დაფასთან დგომით,
მერხთან ტრიალით,
პირველი კოცნით,
პირველი ცრემლით,
პირველი ვარდით და
დიდი ტანჯვით,

მაგრამ ყველაფრის
ბოლოც დადგება,
ჩვენ გავიზრდებით,
სკოლიდან წავალთ;
აწკრიალდება ის ბოლო ზარი,
რომელმაც ჩვენთვის გააღო კარი...

ამით მთავრდება ჩვენი ბავშვობაც,
ყველანი წავალთ
ჩვენ-ჩვენი გზებით.
ასე ყოფილა, ასე იქნება,
და ჩვენს ცხოვრებას ამით აქვს აზრი...

## დედა

ახე მეგონა, შენ არასოდეს
დაბერდებოდი,
ახე მეგონა, ვიქნებოდი
მუდამ პატარა,
მაგრამ დაბერდი, მეც ვიზარდე,
მეც გავხდი „დედა“,
მაგრამ ყოველთვის მე ვიქნები
შენთვის პატარა.

მაგრამ ყოველთვის დაგიძახებ
მე შენ დედიკოს
და შენ ყოველთვის დამიძახებ —
„ჩემო პატარა“,
თუმცა მე უკვე გავიზარდე,
უკვე დიდი ვარ.
მეც ხომ დედა ვარ, მეც გამიჩნდა
თმაში ჭაღარა...

შენ კი კვლავ ამბობ —
„მოგეფერო, ჩაგიკრა გულში“,
და კვლავ მიმღერი —
„დაიძინე, ჩემო პატარავ“...
მაგრამ ვერ ხვდები, გავიზარდე,
უკვე დიდი ვარ:
მეც ხომ დედა ვარ, მეც გამიჩნდა
თმაში ჭაღარა...

## შენ გადღეგრძელებ

ხელში ავიღებ სავსე ფიალას
და გადღეგრძელებ მაღალ
ცის მაღალს,
რომ მოგავლინა შენ ანგელოზად
და რომ დაუმჭკნარ
ყვავილს გამსგავსა.

სახელად, ალბათ,
ქალღმერთს გიწოდებს,
აბა, სხვა რაა შენი კადრისი, —
ვერც ერთი სხივი შენ ვერ გაგასხმობს
და ვერ დაგაჭკნობს
ვერც ერთი სუსხი,

მაგრამ ხომ ბოლოს ყველა ბერდება
და სილამაზეც ყველას უქრება,
ნეტავ რა მოჰკლავს შენს სიამაყეს,
ან რა დააჭკნობს შენს სილამაზეს!

ალბათ, ეს მხოლოდ
სიყვარულს ძალუძს
და, ალბათ, მხოლოდ
ცალმხრივ სატანჯველს,
რომელსაც მხოლოდ
შენ ხვდები, ალბათ,
და ვერასოდეს მას ვერ გაუმხელ...

* * *

და მე კვლავ მაინც
შენ გადღეგრძელებ,
მიხარის, რომ ხარ ამ ქვეყანაზე.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# გალში პედაგოგობა განსაკუთრებული სტატუსია

**იმის საუკეთესო დადასტურება, რომ გალის რაიონში ვითარება, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ უმჯობესდება, იქ ბავშვი მოსახლეობის რიცხვის ზრდა გახლავთ. რაგინდ ცუდი ცხოვრება ჰქონდეთ დევნილობაში, მშობლები ბავშვს არ დატოვებენ იქ, სადაც მას საფრთხე ელის. ბავშვები ახლიდან იწყებენ თავიანთ სამშობლოში დამკვიდრებას.**

გალის ბევრ სკოლაში სრულფასოვანი სწავლება მიმდინარეობს. ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის საგნები ისწავლება. თუმცა, უნდა ითქვას, ეს ის ისტორია როდია, რომელსაც, ვთქვათ, მეზობელი ზუგდიდის რაიონში სწავლობენ. მაგრამ ისტორია ჩვენში ჯერ კიდევ მრავალჯერ დაიწერება, და გარდუვალად დაუახლოვდება ჭეშმარიტებას.

— ჩვენ მოვალე ვართ აღვზარდოთ ქართველი პატრიოტები, — თქვა სოფელ ოცარცვეს საშუალო სკოლის დირექტორმა ლიანა შონიამ, — მაგრამ განსაკუთრებული ფორმაციისა: მათ უნდა ჰქონდეთ ფართო თვალსაწიერი, აფხაზური ფენომენისათვის, მისი ფსიქოლოგიის, კულტურის, ტრადიციებისათვის ღია რომ იქნება. მით უფრო, რომ ისინი ჩვენი ნათესავები არიან. ვზრდით აფხაზეთის პატრიოტებს, რომლებისთვისაც ძვირფასია მშობლიური მხარის ყოველი გოჯი. ახლახან ექსკურსიაზე ვიყავით ახალ ათონში. პირველად მრავალი წლის მანძილზე ასე შორს წავედით მშობლიური ადგილებიდან. რა თქმა უნდა, ჩვენც, პედაგოგებიც და ჩვენი მოსწავლეებიც ვღელავდით: როგორ შეგვხვდებიან? მაგრამ ყველგან კეთილმოსურნედ გვხვდებოდნენ.

გალის რაიონი ახლაც და, ალბათ, დიდხანსაც დიდი და პატარა პოლიტიკური ინტერესების რთული ურთიერთობის ასპარეზი იქნება. მაგრამ მყიფე სტაბილურობაც კი, რომელშიც საერთო პოზიტიური მოძრაობა ვლინდება, იმედს გვისახავს. თუმცა, ჯერაც ბევრი პროვოკაცია ხდება, რომელთა მიზანი ის არის, რომ დაამტკიცონ, თითქოს შეუძლებელი იყოს აფხაზებსა და ქართველებს შორის უნდობლობისა და მტრობის დაძლევა. ამ უღირს თამაშში მძევლები ჩვენ — გალელები ვართ. დღეს გალის რაიონში სწავლა და სხვისი სწავლება გმირობა თუ არა, სულიერი ძალების დიდი დაძაბულობა მაინც არის. გალში პედაგოგობა განსაკუთრებული სტატუსია. მას დაეკისრა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი მსოფლმხედველობისთვისაც.

— ჩვენ ვაფასებთ გალელ კოლეგებს, — თქვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ჯანო ჯანელიძემ. — მუდამ ვუწევთ მათ მეთოდურ დახმარებას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ კმარა. გალელი მასწავლებლები, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. ისინი არც ხელფასს იღებენ, არც სოხუმელი და არც საქართველოს ხელისუფლებისაგან. ეს უკანასკნელი გასაგებია, საქართველოს იურისდიქცია აქ არ ვრცელდება. მაგრამ ჩვენ მაინც გამოვნახეთ საშუალება, რათა დავეხმაროთ გალელ კოლეგებს. ვთხოვეთ ქვეყნის ხელმძღვანელობას, გაუწიოს მათ ერთდროული მატერიალური დახმარება. თხოვნა ორჯერ დააკმაყოფილა მთავრობამ. 2000 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნებისათვის გადაირიცხა 200 ათასი ლარი. იმდენივე 2000 წელს —პრეზიდენტის ფონდიდან. მაგრამ უნდა მოგვარებულიყო ფულის განაწილების სისტემა, რათა უყურადღებოდ და უსახსრებოდ არ დარჩენილიყო არც ერთი პედაგოგი. ბევრი მიზეზის გამო ეს უბრალო საქმე როდი გამოდგა.

— იძულებული გავხდით შეგვექმნა სპეციალური კომისია, დაგვეზუსტებინა სიები, მოგვეზიდა უშიშროების სამინისტროს მუშაკები, — თქვა გალის რაიონის გამგებელმა მურმან ჭედიამ. — ძალიან დაგვეხმარნენ ადგილებზე სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელები.

დახმარების განაწილება მთლიანად დადებითად დასრულდა. ამას მოწმობს მასწავლებელთა ბევრი მადლობა, რომლებისთვისაც ამ ფულს სხვა ყველაფრის გარდა განსაკუთრებული აზრიც ჰქონდა. ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვგრძნოდეთ თბილისის მხარდაჭერას, ვიცოდეთ, რომ შენი შრომა დაფასებულია, გემადლიერებიან. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც წლევანდელი სასწავლო წელი იქნება...

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

არმაზ ახვლედიანი, ანზორ ზამბახიძე, ვახტანგ შამილაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდებული მოქალაქისა და უზადო მეგობრის
აკაკი აბუსერიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ყველა ახლობელს.

მეუღლე თალიკო ჯაბუა, შვილი დოდო ნაკაიძე, შვილიშვილები მამუკა, ზაზა ურუშაძეები, ძმისწულები ნინო, ლევან ნაკაიძეები, ცოლისდა ციალა ჯაბუა, რძალი ანი ზედელაშვილი, სიძეები ბაჩო ურუშაძე, გივი გაბუნია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მამია ნაკაიძე
პანაშვიდი 20, 21 VII, 5 სთ.
დაკრძალვა 22 VII, 4 სთ,
ქ. ოზურგეთში 26 მაისის ქ. №14.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, ზურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.